ან სულ მცირე „წინასწარ დავების გადაწყვეტის“ ალტერნატივა და ზოგიერთ შემთხვევაში მყარად დამკვიდრდა. გერმანიაში არ ჩანს სერიოზული ძალისხმევა, რათა მედიაციის შესახებ ნორმები ასახულიყო საპროცესო კანონმდებლობაში. მისგან განსხვავებით, შვეიცარიაში გადაწყდა, მედიაციის თაობაზე ნორმები გათვალისწინებულიყო სამოქალაქო საპროცესო სამართალში. ავსტრიაში 2004 წელს მიიღეს კანონი „სამოქალაქო სამართლის სფეროში მედიაციის შესახებ“, რითაც გამოიკვეთა ავსტრიის ნოვატორული როლი გერმანულ სამყაროში მედიაციის სამართლებრივი საფუძვლების განმტკიცების მიმართულებით.⁶

გერმანიაში მედიაციის ამოქმედებისა და პოპულარიზაციის ძირითადი საფუძველი იყო სასამართლო ხარჯების შემცირება. ამასთან, მართლმსაჯულებაში განხორციელებულ სხვა რეფორმებთან ერთად, გერმანიამ დაწერა და განავითარა მედიაციის ინსტიტუტი.⁷ ამით, თითქოს, მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციის ნაწილად განიხილეს მედიაციის ინსტიტუტის წარმოშობა.

გერმანიის ფედერაციულ სახელმწიფოში თავდაპირველად მედიაციის პროცესის სამი ფორმა არსებობდა:

- 1) ე.წ. „სასამართლოს გარე მედიაცია“ (Gerichtsexterne Mediation), რომელიც აღიქმებოდა სამართალწარმოებისგან სრულიად დამოუკიდებელ პროცესად და ამოქმედდებოდა კერძო ინიციატივის საფუძველზე;
- 2) ე.წ. „სასამართლოსთან არსებული მედიაცია“ (Gerichtsnahе Mediation). მართალია, ის ინსტიტუციონალურად დაკავშირებულია სასამართლოს შიგნით მიმდინარე პროცესთან (მართლმსაჯულების განხორციელებასთან), მაგრამ არაა დამოკიდებული სასამართლოზე, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტზე;
- 3) სასამართლოს შიგნით არსებული მე-

5 Lewinski-Reuter, V., (2011). Mediation, In: Glossar Kulturmanagement, V. Lewinski-Reuter, S. Lüdemann (Hrsg.), Wiesbaden, 254.

6 Lewinski-Reuter, V., (2011). Mediation, In: Glossar Kulturmanagement, V. Lewinski-Reuter, S. Lüdemann (Hrsg.), Wiesbaden, p. 255.

7 Espilugus, C., Iglesias, J. L., Palao, G., (2013). Civil and Commercial Mediation in Europe: National Mediation Rules and Procedures, Vol. I, Intersentia, Cambridge, p. 162.

დიაცია (Gerichtsinterne Mediation), რომელიც როგორც პერსონალურად, ისე ტერიტორიულად დაკავშირებული იყო სასამართლოსა და სამოქალაქო პროცესთან.⁸

გერმანიაში დავის ალტერნატიული გადაწყვეტა მოიცავს საკუთარ თავში როგორც საპროცესო, ისე მატერიალური სამართლის ელემენტებს. მატერიალური სამართლიდან გამოიყენება ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის ნორმები. გერმანიის ახალი კანონი „მედიაციის შესახებ“, რომელიც მედიაციის თაობაზე ევროპულ დირექტივას იზიარებდა, 2012 წლის ივლისში შევიდა ძალაში.⁹

„მედიაციის შესახებ“ გერმანიის კანონით აღიარებულია, რომ სასამართლოს არ აქვს უფლება, მიმდინარე დავა გადასცეს გარე მედიაციას, მაგრამ შეუძლია მის წარმოებაში არსებული საქმე დაუქვემდებაროს სასამართლო მედიაციას.¹⁰ ამასთან, გერმანიის კანონმდებლობა მხარეებს მოუწოდებს, მიაღწიონ დავის შეთანხმებით მოგვარებას და სასამართლო პროცესი გამოიყენონ, როგორც უკიდურესი საშუალება. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15ა ნაწილის მიხედვით, აუცილებელია, მხარეებმა თავდაპირველად სცადონ დავის ალტერნატიული საშუალება მანამ, ვიდრე დაიწყებს სასამართლოში სამართალწარმოებას.¹¹

ამასთან, გერმანიის მიწების მიხედვით მიდგომები განსხვავებულია მედიაციის გამოყენების პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით. მაგალითად, კილის საოლქო სასამართლოში საქმეების 20% გადაცემა მედიაციას. ამ საქმეთა 70%-დან მხარე-

თა შორის შეთანხმება მიიღწევა მხოლოდ 15%-ზე. სხვა სასამართლოებში მნიშვნელოვანწილად შემცირებულია მონაცემები ან საერთოდ არ სთავაზობენ მედიაციას. ეს მოსამართლეთა შეხედულებაზეა დამოკიდებული. მოსამართლეთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დავის გადაწყვეტა თავადაც შეუძლიათ და არ გამოთქვამენ დავების მედიაციისთვის გადაცემის სურვილს. ამასთან, დღესდღეობით გერმანიაში მედიაცია სტატუსის განიცდის, რადგან დავები განიხილება სასამართლოში სწრაფად (5-9 თვე, მედიაციაში კი – დაახლ. 3 თვე) და სამართალწარმოების ტრადიციულ წესებზე დამოკიდებულება არსებობს. მიუხედავად ამისა, ბევრ რეგიონში მედიაციაზე მოთხოვნა მზარდია და საკმაოდ მაღალია მედიაციის წილი სასამართლოში განსახილველ საქმეებს შორის (20%).¹²

1.2. ლიეტუვა

ლიეტუვაში მოქმედებს „სამოქალაქო დავებში მედიაციის გამოყენების შესახებ“ კანონი.¹³ აქ მედიაციის განვითარება განაპირობა სოციალურმა მშვიდობამ, სასამართლო დავების შემცირებამ, მომხმარებელთა ინტერესების დაკმაყოფილებამ, ასევე, დროისა და ხარჯების ეკონომიამ. ლიეტუვაში ხშირად სთავაზობენ მხარეებსა და მათ ადვოკატებს სამოქალაქო თუ კომერციული დავების მედიაციის გზით გადაწყვეტას, მით უფრო, განსაკუთრებულად რთული საქმეების დროს. 2019 წელს ლიეტუვაში კანონმდებელმა სამოქალაქო სასამართლოებს მიანიჭა უფლება, მოითხოვოს მხარეებისგან, რათა მათ სცადონ მედიაციის გზით დავის

8 ცერცვაძე, გ., (2010). მედიაცია – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 105

9 Piers, M., (2014). Europe's Role in Alternative Dispute Resolution: Off to a Good Start? Journal of Dispute Resolution, No. 2, p. 287.

10 Tochtermann, P., (2013). Mediation in Germany: The German Mediation Act Alternative Dispute Resolution at the Corossroads, in Hopt&Steffek, Mediation Principles and Regulation in Comparative Perspective, Oxford, p. 538.

11 Piers, M., (2014). Europe's Role in Alternative Dispute Resolution: Off to a Good Start? Journal of Dispute Resolution, No. 2, 291.

12 გნიზა, ი., (2017). გერმანიის სასამართლო მედიაციის სფეროში არსებული პრაქტიკული გამოცდილება და პერსპექტივები, მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალებში: „მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, 70-72.

13 Law on Conciliatory Mediation in Civil Disputes of Republic of Lithuania, 15 July 2008 No X-1702.

გადაწყვეტა, როცა ეს მიზანშეწონილია. 2015 წლის მონაცემებთან შედარებით, როდესაც დაახლოებით 100 მედიაციის გამოყენების მცდელობა იყო, მედიაციის გზით დავის გადაწყვეტის ოფიციალური მცდელობები უკვე გაიზარდა ათჯერ. იტალიისა და სხვა სახელმწიფოების გამოცდილების მაგალითზე, ლიეტუვამ გაითვალისწინა სავალდებულო მედიაცია საოჯახო საქმეებზე, ასევე, „მედიაციის შესახებ“ ლიეტუვის კანონის გავრცელება სხვა საქმეებზე.¹⁴

ამასთან, ლიეტუვაში სასამართლო მედიაციის ან მორიგების პროცედურა საპილოტე რეჟიმში დაიწყო 2005 წელს. ამ პროგრამის შედეგების შეჯამების შედეგად სამუშაო ჯგუფმა 2014 წელს მიიღო სასამართლო მედიაციის წესები, რომლებიც ძალაში შევიდა 2015 წლის 1 იანვრიდან. სასამართლო მედიაცია გავრცელდა ნებისმიერ სამოქალაქო საქმეზე. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2012 წელს 17-ჯერ მიმართეს მედიაციას, 2013 წელს მედიაციაში ასეთი 37 საქმე იყო, 2014 წელს – 53, 2015 წელს – 123 და 2016 წელს – 313. ბოლო წლებში მედიაციით განხილულ საქმეთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა. ლიეტუვაში თუ მხარეები თანხმდებიან მედიაციის გზით საქმის განხილვის შეთავაზებას, მედიატორი კი წერილობით თანხმობას აცხადებს და სასამართლომ განუმარტა მხარეებს მედიაციის არსი, მოსამართლეს ევალება, შეაჩეროს წარმოება და საქმე გადასცეს სასამართლო მედიაციას. ასევე, სასამართლო წყვეტს მედიატორის დანიშვნას ან შეცვლას.¹⁵

1.3. ლატვია

ლატვიაში „მედიაციის შესახებ“ კანონი მიიღეს 2014 წლის 22 მაისს. ამ კანონით ლატვიაში მედიაციის განვითარებისკენ გადაიდგა ნაბიჯი და მედიაცია გახდა ოფიციალური. კანონით განმტკიცდა მედიაციის ძირითადი პრინციპები: ნებაყოფლობითობა, კონფიდენციალობა, მხარეთა თანასწორობა და თანამშრომლობა, მედიატორის ნეიტრალურობა და ობიექტურობა. ამასთან, კანონით განისაზღვრა, რომ მედიაციის პროცესი იწყება მედიატორთან წერილობითი შეთანხმების დადების მომენტიდან, რომელშიც აისახება დავის არსი, მხარეთა და მედიატორის უფლება-მოვალეობები. მედიაციის პროცესის დასრულების შემდეგ მედიატორს შეუძლია მედიაციის შესახებ შეთანხმების დამტკიცება, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს.¹⁶

მედიაციის დროს ზოგადი კანონმდებლობით ხელმძღვანელობენ ბელგიაში, ესტონეთში, მალტასა და შვედეთში. ამ კანონის მიზანია, უზრუნველყოს ინდივიდუალური და კოლექტიური შრომითი დავების გადაწყვეტა. გარკვეულ შემთხვევებში ზოგადი კანონმდებლობა ვრცელდება სამოქალაქო საქმეებზეც. მაგალითად, ესტონეთსა და ლატვიაში მედიაცია გამოიყენება პაციენტსა ან მის ნათესავებსა და მედიცინის თანამშრომელს შორის. გარდა ამისა, აქ მედიაცია მოქმედებს კოლექტიური შრომითი დავების დროსაც, როცა ჯანდაცვის დაწესებულების ხელმძღვანელობასა და პროფკავშირს შორის უთანხმოება წარმოიშობა. ეს შეეხება ასევე, მაგალითად, ბელგიას, ესტონეთს, საფრანგეთს, მალტას, დიდ ბრიტანეთს. ამასთან, ესტონეთში, მალტასა და დიდ ბრიტანეთში მედიაცია შედარებით იშვიათად გამოიყენება ინდივიდუალურ შრომით დავებში, რომელიც წარმოიშობა დამსაქმებელსა და ჯანდაცვის პერსონალს შორის.¹⁷

14 Simaitis, R., (2020). A new wave of Mediation in Lithuania What does it mean for Lawyers, CEE Legal Matters, 29 April, <<https://ceelegalmatters.com/lithuania/13402-a-new-wave-of-mediation-in-lithuania-what-does-it-mean-for-lawyers>> [ბოლო წვდომა 25.08.2023].

15 გაღლიაუსკასი, რ., (2017). მედიაცია ლიტვაში, მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალებში: „მოსამართლეთა საქმიანობის შეფასება, სასამართლო მედიაცია და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, 102-103.

16 Fedorchuk, M., (2020). Mediation: The Experience of Latvia, Mediation: Training and Society Transformation/MEDIATS of EU Program, <<https://mediats-chnu.com/mediation-the-experience-of-latvia/>> [ბოლო წვდომა 22.07.2023].

17 HOPE – European Hospital and Healthcare Federation

მედიაცია არაა ფართოდ გავრცელებული ლატვიაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხარეები არასოდეს ირჩევენ მედიაციას მათი დავების გადასაწყვეტად. ამასთან, მედიაციის პოპულარობა უფრო და უფრო იზრდება. მედიაციის თვითრეგულირების მოდელი მუშაობს ეფექტიანად.¹⁸ ლატვიაში მედიატორის მიმართ დაწესებულია გარკვეული მოთხოვნები, როგორცაა: მედიატორი უნდა იყოს არანაკლებ 25 წლის, კარგი რეპუტაციით და ნასამართლეობის გარეშე, უმაღლესი განათლებით ნებისმიერ სფეროში, თავისუფლად ფლობდეს ლატვიურ ენას, დასრულებული ჰქონდეს მინიმუმ 100-საათიანი სწავლა მედიაციაში. მედიაცია ლატვიაში ხორციელდება გარკვეული საპროცესო ღონისძიებების დახმარებით. პირველ რიგში, ლატვიაში მედიაცია არასავალდებულო ხასიათისაა, მაგრამ სამოქალაქო პროცესში სასამართლო მოუწოდებს მოსარჩელეს, მედიაცია განიხილოს, როგორც დავის გადაწყვეტის ერთ-ერთი ვარიანტი – მინიმუმ დავის გადაწყვეტის შესაძლო ინსტრუმენტი. შესაბამისად, მედიაცია წმინდა ნებაყოფლობითი ხასიათისაა, თუმცა ნახალისებელია მისი გამოყენება საპროცესო ნორმებითა და ზომებით.¹⁹

1.4. ესტონეთი

ესტონეთში მედიაცია არის ინდუსტრიული (სამეწარმეო) დავების გადაწყვეტის ერთადერთი მეთოდი. ამ პირობებში საზოგადოებრივი მედიატორის პოზიცია შეიქმნა 1995 წელს. დაარსების მომენტიდან დღემდე საზოგადოებრივი მედიაციის სამსახურმა განიხილა დაახლოებით 300 საქმე, რომელთა

80% წარმატებით დასრულდა.²⁰

ესტონეთში იშვიათად იყენებენ მედიაციის ინსტიტუტს. აქ კანონი „მედიაციის შესახებ“ ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვარს. „მედიაციის შესახებ“ კანონი ეხება როგორც მედიაციას, ისე შერიგებას (მორიგებას). თუ სასამართლო ჩათვლის გონივრულად და აუცილებლად, ის ავალებს მხარეებს, მიიღონ მონაწილეობა მედიაციის პროცესში, როგორც ეს „მედიაციის შესახებ“ კანონის 1.3-ე მუხლშია მოცემული. კანონი ვრცელდება სამოქალაქო დავებზე და ის არ შეიცავს ამ საქმეების ჩამონათვალს. შესაბამისად, კანონი გამოიყენება სამოქალაქო საქმეებზე შეზღუდვების გარეშე. ამასთან, აქვე სამედიაციო შეთანხება შეიძლება ძალაში შევიდეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს შეთანხმება ეხება მოთხოვნებს, რომლებიც უკავშირდება საკუთრებას, ან თუ ეს არაა საკუთრება, მაშინ, როდესაც მხარეები კომპრომისს მიაღწევენ დავის ობიექტთან დაკავშირებით. სასამართლოს არ აქვს უფლება, დაამტკიცოს დავის შესახებ შეთანხმება, რომელიც შეეხება საიჯარო ხელშეკრულების მოქმედებას ან გაუქმებას და ესტონეთში განთავსებული საცხოვრებელი ადგილის განთავსუფლებას.²¹

ესტონეთში გამოიყენება მედიაციის ხელშეკრულება და მედიაციაზე შეთანხმება. მედიაციის შესახებ შეთანხმება შეიძლება დაადასტუროს იმ ნოტარიუსმა, რომელსაც მხარეები მიმართავენ. როცა მედიაციის ხელშეკრულებას მხარეები ხელს აწერენ, მათ წარმოეშობათ მოვალეობა, იმოქმედონ ამ შეთანხმების შესაბამისად. ამდენად, ეს ხელშეკრულება შეიცავს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ელემენტებს, კერძოდ, წარმოშობს როგორც ერთი მხარის (მოვალის) მიერ გარკვეული ქმედების განხორციელების მოვალეობა, ისე მეორე მხარის (უფლებამოსილი პირის) უფლება,

(2012), *Mediation in Healthcare*, pp. 7-9.

18 Bertaitis, S., Marjusina, R., Olevska, I., In: Palo de G., Trevor, M. B., (Ed.) (2012). *EU Mediation, Law and Practice*, Oxford, pp. 218-219.

19 Tvaronavile, A., Kaminskie, N., Rone, D., Uudekull, R., (2022). *Mediation in the Baltic States: Developments and Challenges of Implementation*, *Access to Justice in Eastern Europe*, Vol. 4, No. 16, pp. 76-77, <<https://doi.org/10.33327/AJEE-18-5-4-a000427>>

20 International Labour Office, (2007). *Collective Dispute Resolution through Conciliation, Mediation and Arbitration: European and ILO Perspectives*, Geneva, p. 16, <https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---europe/---ro-geneva/documents/meetingdocument/wcms_366949.pdf> [ბოლო წვდომა 03.7.2023].

21 <<https://iclg.com/cdr/litigation/pirkka-marja-poldvere-aivar-pilv>> [ბოლო წვდომა 20.08.2023].

მოითხოვოს კონტრაქტისგან მოქმედების შესრულება. ნოტარიუსი დაადასტურებს სამედიაციო შეთანხმებას, თუ მხარეები ამას მოითხოვენ. პირობების შეუსრულებლობისას მხარეებმა უნდა გადასცენ საქმე სასამართლოს. რაც შეეხება საფინანსო საკითხებს, მათზე მედიაციის შეთანხმება რომ აღსრულდეს, ის უნდა მიიღოს ქვეყნის სასამართლომ.²²

2. მედიაციის ქართული მოდელი

საქართველომ გაითვალისწინა საერთაშორისო გამოცდილება და განსაზღვრა, რომ მედიაცია უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს, რაც უზრუნველყოფს სასამართლოს საქმეებისგან განტვირთვასაც. მედიაციის მიზანია, ხელი შეუწყოს მხარეებს დავის ურთიერთშეთანხმებით, სწრაფად და ეფექტიანად მოგვარებაში. მედიაცია უფრო მეტად გაზრდის მართლმსაჯულების ეფექტიანობას და განტვირთავს სასამართლოს ისეთი საქმეებისგან, რომლებზეც არსებობს დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების ალბათობა. ამასთან, მედიაცია მოქნილი პროცესია, რომელიც, სასამართლოსა და არბიტრაჟთან ერთად, გამოკვეთს საერთო მიზნის მისაღწევად მედიაციის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.²³

საქართველოში კანონმდებელმა, ერთი მხრივ, ჩამოთვალა საქმეები, რომლებზეც ვრცელდება სასამართლო მედიაცია, მეორე მხრივ კი, მხარეთა ნების არსებობისას დაანესა ნებისმიერ დავაზე მედიაციის გავრცელების შესაძლებლობა. კანონით საქართველოში სასამართლო მედიაცია გამოიყენება ა) საოჯახო დავებზე, გარდა შვილად აყვანის, შვილად აყვანის ბათილად ცნობის, გაუქმების, მშობლის უფლების შეზღუდვის, ჩამორთმევის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ საქმე-

ებზე; ბ) სამემკვიდრეო დავებზე; გ) სამეზობლო დავებზე; დ) შრომით დავებზე, გარდა კოლექტიური დავისა; საზიარო უფლების რეალიზაციის საქმეებზე; ე) ქონებრივ დავებზე, თუ დავის საგნის ღირებულება 2000 ლარს არ სცდება; ვ) არაქონებრივ დავებზე, ზ) ასევე, ნებისმიერ სხვა დავაზე, თუ ამაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება (სსკ-ის 1873-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამით ფაქტობრივად კანონმდებელმა მხარეთა ნების პრიორიტეტი აღიარა და მათი შეთანხმება დაუდო საფუძვლად ნებისმიერი დავის განხილვას მედიაციის გზით.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის დაიდო ასოცირების შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც საქართველოს იკისრა მოვალეობა, განავითაროს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, განსაკუთრებით მედიაცია და არბიტრაჟი, შექმნას მათ გამოსაყენებლად სათანადო პირობები. „მედიაციის შესახებ“ კანონის მიღებით განისაზღვრა, მისი ძირითადი მიზანი, უზრუნველყოს სწორედ ეს მოთხოვნა. 2020 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლითაც მედიაცია სამოქალაქო დავების გადაწყვეტის ახალ საშუალებად ჩაითვალა.²⁴

2008 წლის ევროპის კავშირის დირექტივა მედიაციის შესახებ შეიცავს სამოქალაქო და კომერციულ საქმეებზე²⁵ მედიაციის წარმოების გარკვეულ საკვანძო შტრიხებს ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. საგულისხმოა, რომ წევრი ქვეყნების უმეტესობაში მედიაციის ორი ან სამი მოდელი გვხვდება, რაც დამოკიდებულია უშუალოდ დავის სახეზე. მაგალითად, სამოქალაქო და კომერციულ დავებზე მედიაცია სრულად ნებაყოფლობით მოდელზეა დაფუძნებული ბელგიაში, საბერძნეთში, ესტონეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, ლატვიაში და სხვა. თუმცა ნებაყოფლობითი მედიაცია წამახალისებელი ღონისძიებებით და/ან სანქციებით ასევე

22 HOPE – European Hospital and Healthcare Federation (2012). Mediation in Healthcare, pp. 19-20.
23 „მედიაციის შესახებ“ კანონის განმარტებითი ბარათი, რეგისტრაციის N07-2/319/9.

24 <<https://bm.ge/ka/article/2020-wlidan-saqartveloshi-mediaciis-shesaxeb-kanoni-amogmeddeba/42734>> [ბოლო წვდომა 20.07.2023].
25 Directive 2008/52 of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters.

გვხვდება ესტონეთში, საბერძნეთში, იტალიაში (სამოქალაქო და კომერციული დავების 92%-ში), მალტაში და სხვა.²⁶

საქართველოს კანონმდებლობით აღიარებს როგორც სასამართლო მედიაციას, ისე კერძო მედიაციას. საქმე განიხილება სასამართლო მედიაციის გზით იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოში წარდგენილია სარჩელი და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო საქმეს გადასცემს მედიატორს („მედიაციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ბ“ პუნქტი). კანონით სასამართლო მედიაციის წესით საქმის განხილვის ვადა შეადგენს 45 დღეს, თუმცა უნდა შედგეს მინიმუმ ორი შეხვედრა. აქვე დასაშვებია ამ ვადის გაგრძელება იმავე ვადის მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მხარეთა შეთანხმება.²⁷ ვადის საკითხი განსაკუთრებით აქტუალური იყო პანდემიის პერიოდში.

სასამართლოში პროცესი წლების განმავლობაში მიმდინარეობს, ხოლო თუ კორონავირუსის გამო საქმე ვერ წყდება ზეპირი განხილვის გარეშე, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას საქმის განხილვის გადადების თაობაზე. ამ გზით ჭიანურდება სამართალწარმოება, ხოლო საქმის განხილვის გადავადება იწვევს დავის გადაწყვეტის განხგრძობას გარკვეული ვადით და მხარეებს შორის დაძაბული ფონის გაზრდას. ეს დიდწილად ბიზნესსფეროზე უარყოფითად აისახება, რადგან შეიძლება ნეგატიური ეკონომიკური შედეგები გამოიწვიოს. განსაკუთრებით საგრძნობი იყო უარყოფითი ეკონომიკური ეფექტები პანდემიის დროს სხვადასხვა ქვეყანაში.²⁸ გაჭიანურებული სასამართლო პროცესები ქონებრივი ზარალის გაზრდის წინაპირობაა. მაგალითად, თუ ბიზნესსუბიექტი სასამართლო განხილვის შედეგებს ელის, რათა გარკვეული ბიზნეს-პერაციები განახორციელოს და სამეწარმეო

საქმიანობა გააგრძელოს, ხანგრძლივი პროცესები ზრდის მისთვის მიყენებულ დანაკარგებს. ამასთან, ამ პერიოდში მისი ეკონომიკური იმიჯიც ნელ-ნელა უფასურდება.

კერძო მედიაციას საფუძვლად უდევს მხარეთა ინიციატივა მედიაციის შესახებ შეთანხმება იმის გარეშე, რომ სასამართლომ საქმე მედიატორს გადასცეს („მედიაციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები). აქედან გამომდინარე, კერძო მედიაცია მხარეთათვის თავისუფალი პროცესია და დისპოზიციური ხასიათისაა.

ჩვეულებრივ, სასამართლოს აქვს უფლებამოსილება მხოლოდ თავისი მიხედულების მიხედვით ურჩიონ მხარეებს მედიაციის გამოყენება, თუ ფიქრობენ, რომ ეს პროცედურა შეიძლება დადებითი შედეგებით დასრულდეს (გერმანია, ლიეტუვა, პოლონეთი, რუმინეთი, შვეცია, დიდი ბრიტანეთი).²⁹ სხვა ქვეყნების მსგავსად, „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კერძო მედიაციის დაწყება იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას.³⁰ ამდენად, როცა დაიწყება კერძო მედიაცია, ამ მომენტიდან შეჩერდება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა.³¹

3. მედიაციის უპირატესობები და უარყოფითი მხარეები

3.1. მედიაციის უპირატესობები

ბიზნესსუბიექტები მედიაციის გამოყენების მრავალ უპირატესობაზე მიუთითებენ. მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება მედიაციის პოტენციური სარგებლის გაცნობიერება. ასეთი სარგებელი მოიცავს: 1. სასამართლო და საარბიტრაჟო რისკებისა და გაურკვევლობებისგან განსხვავებით, მხარეთა მიერ დავის გადაწყვეტის პროცესსა და პროდუქტზე მუდმივ კონტროლს; 2. დავის გადაწყვეტისა და პროცესის მართვის ინდივიდუალიზაცი-

26 De Palo G., D. URSO L., (2016). In: The Implementation of the Mediation Directive, Workshop, Research Administrator Responsible: Raffaelli R., p. 16.

27 სსსკ-ის 1875 – ე მუხლი, 1997 წ.

28 იხ. ბიჭია, მ., (2021), მედიაციის გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესდავებში პანდემიის დროს, ჟურნალი „სამართლის მაცნე“, №3, 10. DOI: [10.15350/26679434/H.3.1](https://doi.org/10.15350/26679434/H.3.1)

29 Шумова, К. А., (2015). Принципы медиации, Диссертация, Саратов, 68.

30 სამოქალაქო კოდექსის 132-ე მუხლის გ1 პუნქტი, 1997 წ.

31 „მედიაციის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი, 2019 წ.

ას; 3. კონფიდენციალურობას; 4. კომუნიკაციის გაუმჯობესებას; 5. კულტურულ, ტრანსსასაზღვრო ხიდს; 6. კომერციული რეალიების გათვალისწინებას; 7. ხარჯების დაზოგვასა და ციკლის დროის შემცირებას; 8. კრეატიულ და საიმედო გადაწყვეტილებებს; 9. მუდმივი ურთიერთობების მხარდაჭერას ან განმტკიცებას; 10. პოტენციურ სარგებელთან შედარებით ხარჯებისა და რისკი დაბალ ხარისხს.³²

მათი ნაწილი მედიაციის პრინციპებში აისახება. ესენია: მხარეთა ნებაყოფლობითობა, მედიატორის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, მხარეების მიერ პროცესის გაკონტროლება და კონფიდენციალურობა.³³ ამასთან, მედიაციაში უნდა იყოს დაცული მხარეთა თვითგამორკვევის, კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის პრინციპები.³⁴

3.1.1. მედიატორის ნეიტრალურობა და მიუკერძოებლობა

მედიაციის გამოყენების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ გამოცდილმა ნეიტრალურმა პირმა (მედიატორმა) ხელი შეუწყოს როგორც ინფორმაციის გაცვლის, ისე მისი რაოდენობის ხარისხს დავის გადასაწყვეტად. რელევანტურმა ინფორმაციამ შეიძლება გაზარდოს დავის გადაწყვეტის შანსები მხარეებისთვის სასურველი პირობებით.³⁵ სასამართლოში საქმის ბედს ერთპიროვნულად წყვეტს მოსამართლე. რაც შეეხება მედიაციას, ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება კომუნიკაციაზე, რომელსაც წარმართავს მესამე ნეიტრალური პირი მედიატორის სახით.³⁶ მე-

დიატორის როლი კარგად გამოიხატება პირდაპირი კომუნიკაციების ხელშეწყობაში, მაგრამ მედიატორი უნდა იყოს არა სანდო მრჩეველი, არამედ ნეიტრალური პირი. მხარეები სწორედ იმიტომ ენდობიან მედიატორს, რომ მისი როლი ნეიტრალურია.³⁷

სასამართლო პროცესებისგან განსხვავებით, მედიაციის დროს მხარეებს შორის კომუნიკაცია არ ეფუძნება მოლოდინს, რომ მათ შემდგომ ისევ ექნებათ ერთმანეთთან კავშირი. ასეთი მოლაპარაკებების შედეგად გადაცემული ინფორმაციის გამოყენებამ შეიძლება უსამართლოდ გამოიწვიოს ზიანის მიყენება. ამ პროცესში მედიატორი ნეიტრალური და მიუკერძოებელია.³⁸ მართალია, მის მიუკერძოებლობის რწმენას აძლიერებს მედიაციის კონფიდენციალურობა და ნდობაზე დაფუძნებული გარემო, მაგრამ მედიატორს ევალება, არ მიემხროს რომელიმე მხარეს და დარჩეს ნეიტრალური.³⁹

3.1.2. ფინანსური ხარჯებისა და დროის დაზოგვა

ხანგრძლივი და გახმაურებული სასამართლო პროცესების დროს შეიძლება ზიანი მიადგეს ბიზნესსუბიექტების კომერციულ ინტერესებს.⁴⁰ ამ დროს განსაკუთრებული როლი აქვს მედიაციას, რადგან ის დავის გადაწყვეტის იაფი და ეფექტიანი საშუალებაა.⁴¹

32 Stipanowich, T., (2004). Why Businesses Need Mediation, Legal Studies Research Paper Series, Commercial Mediation in Europe, 10.
33 Att. Dursun Al, (2017). The Principle of Confidentiality in Mediation and the Rols of Confidencialiti In Commercial Mediation, Afro Eurasian Studies Journal, Vol. 6, Iss. 1&2, Spring & Fall, pp. 18-19.
34 „მედიაციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლი, 2019 წ.
35 Deason, E. E., (2002). Predictable Mediation Confidentiality in the U.S. Federal System, Ohio State Journal onDispute Resolution, Col. 17, No.2, p. 245.
36 ცერცვაძე, გ., (რედ.) (2013). მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 32.

37 Deason, E. E., (2001). The Quest for Uniformity in Mediation Confidentiality: Foolish Consistency or CrucialPredictability? Marquette Law Review, Vol. 85, p. 81.
38 Lawrence R. Freedman, Michael L. Prigoff, (1986). Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal On Dispute Resolution, Vol.2:1, p. 37-38.
39 Macturk, C. H., (1995). Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception, American Journal of Trial Advocacy, Vol. 19, p. 415. <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/amjtrad19&div=25&g_sent=1&casa_token=&collection=journals> [ბოლო წვდომა 12.02.2022]; ნეიტრალურობასთან დაკავშირებით იხ. ჩიტაშვილი, ნ., (2016). ადვოკატ-მედიატორის ცალკეულ ეთიკურ ვალდებულებათა თავისებურება და რეგულირების აუცილებლობა, „სამართლის ჟურნალი“, №2, 36-37.
40 Wykoff, A. (2016). Mediation & Confidentiality, Bond University Student Law Review , Vol. 4, p. 5.
41 ცერცვაძე, გ., (რედ.) (2013). მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქა-

ამდენად, მედიაციის ხარჯ-ეფექტიანობა არის მისი კიდევ ერთი მიმზიდველი მახასიათებელი. მედიაცია ხარჯების განწვევის თვალსაზრისით ეფექტიანია. პირველ რიგში, დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებთან შედარებით, მედიაციას ცოტა დრო სჭირდება. დროის დაზოგვით მხარეები მინიმუმამდე ამცირებენ ისეთ ხარჯებს, როგორცაა დაკარგული შემოსავლები და ბიზნესშესაძლებლობები.⁴² ბიზნესსექტორისთვისაც უმნიშვნელოვანესია, დავა მოგვარდეს შედარებით ნაკლები ხარჯით. ამ გაგებით, საგულისხმოა მედიაციის მოდელი წამახალისებელი ღონისძიებების და/ან სანქციის ფორმით. შეღავათები ხშირად გვხვდება ფინანსური წამახალისებელი ღონისძიების სახით მხარეებისთვის, რომლებიც მედიაციის შემდეგ შეთანხმებას მიაღწევენ. ასეთი სტიმულატორის როლს თამაშობს, მაგალითად, სასამართლო ხარჯების დაბრუნება სლოვაკეთსა და ესტონეთში, ან დამონების ხარჯების ანაზღაურება-დაბრუნება ბულგარეთსა და ლატვიაში.⁴³ ამდენად, მედიაციის შეთანხმების დადების ერთ-ერთი მასტიმულირებელი გარემოებაა სახელმწიფო გადასახადის (ბაჟის) ან მისი ნაწილის დაბრუნება. მხარეთა შეთანხმების დადების წახალისების შესახებ მსგავსი გამოცდილება აქვს ლიეტუვას, სადაც მოსარჩელეს, რომელმაც დადო ე.წ. „მშვიდობიანი ხელშეკრულება“, უბრუნდება სახელმწიფო ბაჟის 75%.⁴⁴

მსგავსი მიდგომაა საქართველოშიც გაზიარებული. სახელმწიფო, სასამართლო მედიაციისას სახელმწიფო ბაჟი უნდა შეადგენდეს დავის საგნის ღირებულების 1%-ს, თუმცა მინიმუმ 50 ლარს. თუ დავა მხარეთა შეთანხმებით არ დასრულდა, საქმის განხილვა

როველოში, თბილისი, 32.

42 Feinberg, K. R., (1989). Mediation – A Preferred Method of Dispute Resolution, Pepperdine Law Review, Vol. 16, Iss. 5, S 10.

43 De Palo, G., D URSO, L., (2016). In: The Implementation of the Mediation Directive, Workshop, Research Administrator Responsible: Raffaelli R., p. 12.

44 Батурина, Н.А., (2016). Зарубежный Опыт Правового Регулирования Процедуры Медиации, В Сборник материалов I Всероссийской научно-практической конференции с международным участием (Саратов, 4 декабря 2015 года): «Перспективы становления и развития медиации в регионах», Саратов, 23.

განახლდება სასამართლოში და მოსარჩელეს დამატებით დაევალება, წარადგინოს დავის საგნის ღირებულების 2%-ის, მაგრამ არანაკლებ 50 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანი.⁴⁵ თუმცა, თუ სასამართლო მედიაციის დროს მხარეებმა დავა შეთანხმებით დაასრულდეს, კანონით მოსარჩელეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.⁴⁶

თუ მხარემ ჩათვალა, რომ მედიაცია დროსა და ფულის ფუჭი ხარჯვაა, მას ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს მოლაპარაკება და მიმართოს არბიტრაჟს ან სასამართლოს. საქმე ისაა, რომ მედიაცია დროისა და ფულის დაზოგვის შესაძლებლობაა არა მხოლოდ მხარეებისთვის, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოსთვისაც, რომელიც საკმაოდ დიდ რესურსს გამოყოფს ხანგრძლივი სასამართლო პროცესების წარმოებისთვის.⁴⁷

3.1.3. მხარეთა ურთიერთობის შენარჩუნება და არასტრქესული გარემო

მედიაციის ერთ-ერთი უპირატესობაა საოჯახო და სხვა მიმდინარე ურთიერთობების შენარჩუნება. ანდერძის, მინდობისა და მზრუნველობის დროს წარმოშობილი საოჯახო ურთიერთობები შეიძლება გამოუსწორებლად დაზიანდეს ხანგრძლივი სასამართლო განხილვებით. მედიაციაში მხარეთა მოსმენისას შეიძლება ნდობის აღდგენა, მიმდინარე დავის არა მხოლოდ გადაწყვეტა, არამედ მომავალში პრობლემების პრევენცია.⁴⁸

მედიაციას განსაკუთრებული უპირატესობა აქვს მაშინ, როდესაც მხარეებს აქვთ მუდმივი ურთიერთობები, რომლებიც დავის მოგვარების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს, რადგან შეთანხმება შედგა მათი თანხმო-

45 კ-ის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა3“ პუნქტი, 1997 წ.

46 სსკ-ის 49-ე მუხლის მე-2¹ ნაწილი, 1997 წ.

47 ცერცვაძე, გ., (2010), მედიაცია – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 55.

48 Radford, M. F., (2001). Advantages and Disadvantages of Mediation in Probate, Trust, and Guardianship Matters, Pepp. Disp. Resol. LJ, Vol. 1, pp. 244-245.

ბით და არც ერთ მხარეს არ უნდა ჰქონდეს საფუძველი, რომ საკუთარი თავი დამარცხებულიად ჩათვალოს. მედიაცია აძლევს მოდავე მხარეებს შესაძლებლობას, შეინარჩუნონ არსებული ურთიერთობა დავის გადაწყვეტით, რომელიც ორმხრივად იქნება მომგებიანი, და შესაბამისად, დაამყარონ ძლიერი გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობები. მედიაცია სულ უფრო მეტად გამოიყენება გრძელვადიანი კონტრაქტების დროს, განსაკუთრებით საერთაშორისო ინფრასტრუქტურისა და სამშენებლო ხელშეკრულებებში, სადაც ნომინირებული მედიატორები მოჰყავთ მხარეებს შორის პრობლემების უმოკლეს დროში გადასაჭრელად. ამდენად, მედიაცია განსაკუთრებით სასარგებლოა, თუ მხარეებს სურთ, გააგრძელონ საქმიანი (ბიზნეს) ურთიერთობები, რომლებსაც შეიძლება აგრესიულმა სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვებმა ზიანი მიაყენოს. ამიტომ მედიაციის გამოყენება შეიძლება იყოს გონივრული, როდესაც მუდმივი ურთიერთობის შენარჩუნების პოტენციალი არსებობს.⁴⁹

მედიატორი ეხმარება მხარეებს, თავიდან აიცილონ პოლარიზებული წარმოდგენები იმაზე, რომ თვითონ მსხვერპლია და მეორე მხარე – ბოროტმოქმედი; მედიატორი ცდილობს, წაახალისოს სადავო საკითხების ირგვლივ უფრო პროდუქტიული და გაფართოებული მსჯელობა. ამასთან, მედიაცია იძლევა შესაძლებლობას, მხარემ აღიაროს არსებული უთანხმოება და ის წვლილი, რომელიც ორივე მხარემ შეიტანა, მათ შორის, დავის წარმოშობაში. მედიაცია მოუწოდებს მხარეებს, ყურადღება გაამახვილონ მომავალზე და არა მხოლოდ წარსულზე. ეს მათ საშუალებას აძლევს, გასცდნენ ბრალის უბრალო განაწილების ფარგლებს (რომელიც ხშირად არ იწვევს რაიმე კონკრეტულ შედეგს მეორე მხარისთვის) და გადაჭრან მათი მომავალი პრობლემები.⁵⁰

ამასთან, მედიატორი ყურადღებას ამახვილებს მხარეთა ურთიერთობის პოზიტიურ

ასპექტებზე, რაც ხელს უწყობს მათ შორის არსებული დაძაბულობის ჩაცხრობას. მედიაცია შეიძლება მოიცავდეს მხარეთა პირდაპირ შეხვედრებსაც, თუმცა თუ მხარეებს არ სურთ ყველა მონაწილის თანდასწრებით გულახდილად საუბარი, მედიატორი შეიძლება თითოეულ მხარეს შეხვდეს ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. დამატებითი ინფორმაციის მოპოვების ან ალტერნატივების გამოკვლევის მიზნით მედიატორს შეიძლება დასჭირდეს მხარეებთან ინდივიდუალური შეხვედრები. ამ შეხვედრებზე მხარეს ეძლევა საშუალება, მოეშვას, დამშვიდდეს და აიცილოს სამომავლოდ ურთიერთობის დაძაბვა, ასევე, ხელი შეუშალოს იმას, რომ ერთმა მხარემ მეორის მიმართ მოახდინოს მანიპულაცია.⁵¹

მედიაცია უზრუნველყოფს მხარეთა შორის მიმდინარე ურთიერთობების შენარჩუნებას. მედიაციასთან შედარებით, სასამართლო პროცესზე მხარე ცდილობს, საკუთარი პოზიცია დაასაბუთოს, ამით გააბათილოს და უარყოს მეორე მხარის მოსაზრებები იმისათვის, რომ დაამტკიცოს მათი უსაფუძვლო ხასიათი. მედიაციის კონფიდენციალურობა მხარეებს უქმნის ისეთ მშვიდ გარემოს, რომ მხარეებმა ობიექტურად შეაფასონ მათი პოზიციისთვის არასასურველი მომენტები და მოლაპარაკება აწარმოონ პოზიტიური მოლოდინებით. სასამართლოში დავის განხილვისას, ძირითადად, მხარეებს შორის ურთიერთობები ატარებს სტრესულ და ნეგატიურ ხასიათს.⁵²

3.1.4. მედიაციის კონფიდენციალურობა

სასამართლოსგან განსხვავებით, მედიაციის პროცესი წარიმართება კონფიდენციალურობის მაქსიმალური დაცვით.⁵³

49 Tarman, Z. D., (2016). Mediation as an Option for International Commercial Disputes, In: Annales de la faculté de Droit d Istanbul, Vol. 48, No. 65, p. 232.
 50 Hardy, S., Rundle, O., (2010). Mediation for Lawyers, Australia, p. 9.

51 ცერცვაძე, გ., (რედ.) (2013). მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბ., 209, 224.
 52 Wykoff, A., (2016). Mediation & Confidentiality, Bond University Student Law Review , Volume 4, pp. 4-5.
 53 Lawrence R. Freedman, Michael L. Prigoff, (1986). Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal On Dispute Resolution, Vol.2:1, p. 45.

კონფიდენციალურობა მხარეებს უქმნის მოლაპარაკებისთვის გასაიდუმლოებულ გარემოს,⁵⁴ რაც შესაძლებელს ხდის, საქმის ყველა არსებითი გარემოება გულდასა და საფუძვლიანად იყოს განხილული. კონფიდენციალურობისას მხარეები ლაღად აჟღერებენ ინფორმაციას, რადგან სწამთ, რომ მედიაციის პროცესში გამხელილი ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული მათ წინააღმდეგ.⁵⁵ სწორედ ამიტომ კონფიდენციალურობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მედიაციისთვის. კონფიდენციალურობის წყალობით მხარეებს არ აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ მედიაციის დროს მიღებული ინფორმაცია მეორე მხარის საზიანოდ, რითაც გზას უხსნის მათ შორის კონსტრუქციულ ურთიერთობას და ინტერაქციული მოლაპარაკებების წარმართვის შედარებით უსაფრთხო გარემოს.⁵⁶

მედიაციის კონფიდენციალურობა მხარეებს ეხმარებათ, გაცვალონ ინფორმაცია, მოაგვარონ პრობლემები და აწარმოონ მათ ინტერესებზე ორიენტირებული მოლაპარაკებები.⁵⁷ კონფიდენციალურობის დაცვის კანონისმიერი მოვალეობა გრძელდება სამედიაციო პროცესის დასრულების შემდეგაც, თუ ეს საკითხი მხარეებსა და მედიატორს შორის წერილობითი შეთანხმებით სხვანაირად არაა მოწესრიგებული.⁵⁸

კონფიდენციალურობა სუბიექტებს აძლევს

სტიმულს, აირჩიონ მედიაცია, მაგალითად, კომერციული საიდუმლოების დაცვისას. მედიაცია განიხილება მხარის უპირველეს მოტივატორად, რადგან სურს, დავა მშვიდად და გასაჯაროების გარეშე მოაწესრიგოს.⁵⁹ შესაბამისად, ბიზნესკომპანიებს მედიაციის პროცესის საიდუმლო ხასიათი უბიძგებს, მიმართონ დავის გადაწყვეტას მედიაციის გზით.⁶⁰ მედიაციით დავის მოგვარებისას საჯარო არაა გადაწყვეტილება იმაზე, თუ ვინ იყო „მართალი“ და ვინ – „მცდარი.“ ეს შეიძლება იყოს მთავარი ფაქტორი კომპლექსურ ბიზნესგარემოში სხვადასხვა მიზეზის გამო. საქმე ისაა, რომ ბიზნესგარემოს შეიძლება ჰქონდეს გავლენა შემდგომ ბიზნესტრანზაქციებზე, რეპუტაციაზე და სხვა.⁶¹

მხარეებისთვის უმნიშვნელოვანესია კონფიდენციალურობის დაცვა კომერციულ ურთიერთობებში. თუ მესამე პირს ფლობს ინფორმაციას იმაზე, რომ მხარეებს შორის არსებობს კომერციული ურთიერთობები და დავა განსაკუთრებით დიდ თანხას შეეხება, ამ ინფორმაციის გამჟღავნებით შეიძლება მათ რეპუტაციასა და საქმიან ურთიერთობებს ზიანი მიადგეს ბაზარზე, ან ორივე მხარეს არ უნდოდეს საიდუმლო მონაცემების საჯაროდ გავრცელება.⁶² მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონით დადგენილი წესების მკაცრი დაცვით, ზიანის მიყენებამ შეიძლება წარმოშვას მისი ანაზღაურების მოვალეობა.⁶³

54 Zhao, Y., Koo, A.K.C., (2011). The Development of Legal Protection for Mediation Confidentiality in Hog Kong. *Common Law World Review*, p. 264. <http://heinonline.org/HOL/Page?handle=hein.journals/comllwr40&div=17&g_sent=1&casa_token=&collection=journals> [ბოლო წვდომა 11.03.2022]

55 Macturk, C. H., (1995). Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception, *American Journal of Trial Advocacy*, Vol. 19, p. 412.

56 Brown, K. L., (1991). Confidentiality in Mediation: Status and Implications, *Journal of Dispute Resolution*, Iss. 2, Vol. p. 310.

57 Callahan, R., (2012). Mediation Confidentiality: For California Litigants, Why Should Mediation Confidentiality be a Function of the Court in Which the Litigation is Pending? *Perpperdine Dispute Resolution Law Journal*, Vol. 12: 63, p. 96.

58 „მედიაციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი, 2019, განმარტებითი ბარათი, რეგისტრაციის N07-2/319/9.

59 Lawrence R. Freedman, Michael L. Prigoff, (1986). Confidentiality in Mediation: The Need for Protection, *Journal On Dispute Resolution*, Vol.2:1, pp. 37-38.

60 Wykoff, A., (2016). Mediation & Confidentiality, „Bond University Student Law Review“, Volume 4, p. 5; ბიჭია, მ., (2020). მედიაციის პროცესის კონფიდენციალობის დაცვის სამართლებრივი რეჟიმი და მნიშვნელობა, „სამართალი და მსოფლიო“, 6(2), 199-200. <https://doi.org/10.36475/6.2.15>

61 Posin, D. Q., (2004). Mediating International Business Disputes, *Fordham Journal of Corporate & Financial Law*, Vol. IX, p. 457.

62 Att. Dursun Al, (2017). The Principle of Confidentiality in Mediation and the Rols of Confidencialiti In Commercial Mediation, *Afro Eurasian Studies Journal*, Volume 6, Issue 1&2, Spring & Fall, p. 28.

63 ბიჭია, მ., (2017). პერსონალური მონაცემების კერძოსამართლებრივი დაცვის პრობლემა ინტერნეტსამყაროში, VIII საერთაშორისო სამეცნიერ-

მედიაციის პროცესში მხარეები თანხმდებიან გადაცემული ინფორმაციის გამჟღავნებლობაზე, მაგრამ კონფიდენციალურობის პრივილეგიასაც აქვს განსაზღვრული გამონაკლისები.⁶⁴ ფაქტობრივად, საქართველომ გაითვალისწინა ევროპული გამოცდილება და კანონით აღიარა მედიაციის პროცესის კონფიდენციალურობის შეზღუდვის საგამონაკლისო შემთხვევებიც. მათგან ერთ-ერთია შემთხვევა, როცა აუცილებელია ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან თავისუფლების ანდა დღის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვა (მე-4 მუხლი). ამ შემთხვევებშიც ინფორმაციის გამჟღავნება უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონიერი მიზნის ადეკვატურად და პროპორციული მოცულობით გავრცელების საწყისებს იმ ფორმით, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული ინფორმაციის კონფიდენციალობა გარეშე პირებისაგან.⁶⁵

3.1.5. მხარეთა თვითგამორკვევა და პიროვნულ ინტერესებზე ორიენტირება

განსაკუთრებით მიმზიდველია მხარეებისთვის მედიაციის ნებაყოფლობითი (და არა სავალდებულო) ხასიათი, სადაც როგორც მედიაციის დაწყების, ისე მედიაციის პროცესში მონაწილეობის გადაწყვეტილება სრულად მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული.⁶⁶ მედიაცია აბსოლუტურად ნებაყოფლობითი პროცესია, რაც ავტომატურად განაპირობებს მოდავე მხარეების შესაძლებლობას, კარგად გაერკვნენ, თუ რა სახის დაპირისპირება აქვს მეორე მხარესთან, თავად რა ფორმით ესახე-

ბათ დავის გადაწყვეტა.⁶⁷ მხარეთა თვითგამორკვევისა და გადაწყვეტილების მიღების ფარგლები შეიძლება შეიზღუდოს მედიაციის არასამართლიანი შედეგის დაუშვებლობის ნორმატიული წესით. მხარეთა ინტერესების რეალიზება დაიშვება მათი თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე იქამდე, სადამდეც მესამე პირების ინტერესები არ შეილახება.⁶⁸ სამართლიანი მედიაციის შედეგი არის ის, რაც მხარეებმა გადაწყვიტეს თვითგამორკვევის განხორციელებისას. ამდენად, სამართლიანი შედეგის მიმართ მედიატორის მოვალეობაა, მედიაცია აწარმოოს მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე.⁶⁹

სასამართლო პროცესზე ყველა მონაწილისთვის მნიშვნელოვანია, მათ მოუსმინოს თანამგრძობმა და ბრძენმა მრჩეველმა, ასევე, მხარეებმა იგრძნონ, რომ მათ ჰქონდათ თავიანთი „დღე სასამართლოში“. მედიატორი ასრულებს ამ როლს და უფლებამოსილ მხარეს აძლევს კათარზისული გათავისუფლების საშუალებას არბიტრის მსგავსი სწავლული პროფესიონალის წინაშე, რომელიც სხვაგვარად გადაწყვეტს დავას.⁷⁰

მედიატორის ინსტრუმენტი, გამოავლინოს რეალური პოზიციები და ინტერესები, სასამართლო კი ეძებს ფაქტებს.⁷¹ სასამართლო განხილვისგან განსხვავებით, მედიაციის დროს შეიძლება არსებობდეს „სამართლის ნორმებისა“ და „პიროვნებაზე ორიენტირებული ნორმების“ კოლიზია. სასამართლო და იურისტი პიროვნებაზე

რო პრაქტიკული კომუნიკაციის კონფერენციის „ინტერნეტი და საზოგადოება“ მასალები, 7-8 ივლისი, ქუთაისი, 36-41.

64 Macturk, C. H., (1995). Confidentiality in Mediation: The Best Protection has Exception, American Journal of Trial Advocacy, Vol. 19, pp. 426-427.

65 განმარტებითი ბარათი, რეგისტრაციის N07-2/319/9; „მედიაციის შესახებ“ კანონი, 2019.

66 Feinberg, K. R., (1989). Mediation – A Preferred Method of Dispute Resolution, Pepperdine Law Review, Vol. 16, Iss. 5, 57-8.

67 ყანდაშვილი, ი., (2020). მედიაცია (დავის გადაწყვეტის ეფექტური ალტერნატიული საშუალება), თ., 94.

68 ჩიტაშვილი, ნ., (2016), სამართლიანი შეთანხმება, როგორც მედიაციის ეთიკური ურღვევობის საფუძველი, „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული“, 16.

69 Shapira, O., (2012). Conceptions and Perceptions of fairness in Mediation, South Texas Law Review, Vol. 54, p. 336.

70 Sussman, E., (2010). The Advantages of Mediation and the Special Challenges to its Utilization in Investor State Disputes, Revista Brasileira de Arbitragem, Vol.7, No. 27, p. 57.

71 Lawrence R. Freedman, Michael L. Prigoff, (1986). Confidentiality in Mediation: The Need for Protection, Journal On Dispute Resolution, Vol.2:1, p. 45.

დაფუძნებულ ნორმებს ანიჭებს მხოლოდ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას, შესაბამისად, სასამართლო პროცესი და საადვოკატო მოლაპარაკებები ატარებს რაციონალურ და რეგლამენტირებულ ხასიათს. მედიაცია უფრო მეტად პასუხობს პიროვნულ ნორმებსა და ღირებულებებს.⁷²

3.1.6. მედიაციის მოქნილობა და არაფორმალური ხასიათი

მედიაციის ერთ-ერთი მომხიბვლელი ასპექტი არის მისი განსაკუთრებული მოქნილობა. მედიატორი ბიზნესსუბიექტებს სთავაზობს დავის გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტს, თუმცა დავის გადაჭრის საშუალებათა სპექტრი შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მხარეთა სურვილებითა და მედიატორის შემოქმედებითი მიდგომით. ამასთან, მედიაციის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ურთიერთობის დასამყარებლად სხვადასხვა საშუალება ნებისმიერი რაოდენობით. მაგალითად, გამოცდილი მედიატორები რეგულარულად იყენებენ ტელეფონსა და ელფოსტას, ასევე, ინტრანეტის ტექნოლოგიას. ამავე დროს, დასაშვებია სხვა მრავალი საშუალების გამოყენება, რომლის დახმარებით მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია სამედიაციო პროცესში მოლაპარაკებების ობიექტური საფუძვლის უზრუნველყოფისთვის. ბიზნესდავების გადაწყვეტისას მედიატორს აქვს ფასილიტატორის როლი, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია დავები მართოს, მედიაციისთვის სხვადასხვა ინოვაციური პროცესი შეიმუშავოს და მოიფიქროს.⁷³

სასამართლოსთან შედარებით, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებს შორის მედიაცია არაფორმალური პროცესია. მედიაციის დროს მესამე ნეიტრალურ მხარედ

გამოდის მედიატორი, რომელიც ეხმარება ორ მოდავე მხარეს ურთიერთობასა და მოლაპარაკებების წარმოებაში. მედიაციის პროცესი აგებულია მხარეთა საერთო ინტერესსა და დავის მშვიდობიანად გადაწყვეტაზე.⁷⁴ მოსამართლემ აუცილებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მედიაციის დროს კი არაა სავალდებულო საბოლოო შეთანხმების მიღწევა. თუმცა თუ შედგა სამედიაციო შეთანხმება, ეს შედეგი მხარეების მიერ მიღებული გადაწყვეტილება და, შესაბამისად, ორივე მხარის ინტერესების გამომხატველია.⁷⁵

მედიაციაში ბიზნესსექტორს განსაკუთრებით ხიბლავს ის, რომ ამ პროცედურის მიმდინარეობისას ის არაა შეზღუდული რაიმე სახის ვალდებულებებით.⁷⁶ სასამართლოში საქმის განხილვა იზღუდება მკაცრად დადგენილი სამართლებრივი ალტერნატივების შედეგებით. მედიაცია აძლევს მხარეებს შესაძლებლობას, შეიმუშავონ მათი საჭიროებების ამსახველი გადაწყვეტილება ისე, რომ არ იყოს გათვალისწინებული ტექნიკურ-სამართლებრივი პრინციპები. მხარეებს შეუძლიათ მიაღწიონ შედეგებს, რომლებიც ტიპური სასამართლო ბრძანების ფარგლების მიღმა არსებობს. მედიაციის მოქნილობა, ასევე, მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, შეიმუშავონ გადაწყვეტილება, რომელსაც ისინი მიიჩნევენ „სამართლიანად“ და უფრო მეტად დააკმაყოფილებს მათ ინტერესებს, ვიდრე ეს ფორმალური სასამართლო გადაწყვეტილების დროს იქნებოდა.⁷⁷

მედიაციის დროს მხარეებს თავისუფლად შეუძლიათ, დაადგინონ საკუთარი წესები და პროცედურები. ისინი, ჩვეულებრივ, არჩევენ, უარი თქვან დავის გადაწყვეტის სხვა ფორმებთან დაკავშირებულ ფორმალობა-

72 Clarke, G. R., Davies, I. T., (1991). ADR Argument for and Against use of the mediation process particularly in Family and neighbourhood disputes, QLD. University of Technology law Journal, 7, pp. 87-88, <<https://lr.law.qut.edu.au/article/view/343/335/view.html>> [ბოლო წვდომა 17.08.2023].

73 Stipanowich, T., (2004). Why Businesses Need Mediation, Legal Studies Research Paper Series, Commercial Mediation in Europe, p. 12.

74 Kelly, D., Holmes, A., Hayward, R., (2005). Business Law, 5.th edition, London, pp. 95-96.

75 ყანდაშვილი, ი., (2017). მედიაცია – დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ახალი ფორმა და მისი საკანონმდებლო მოწესრიგების პერსპექტივა საქართველოში, „სამართლის ჟურნალი“, N2, 116.

76 ცერცვაძე, გ., (2010). მედიაცია – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 55.

77 Radford, M. F., (2001). Advantages and Disadvantages of Mediation in Probate, Trust, and Guardianship Matters, Pepp. Disp. Resol. LJ, Vol. 1, p. 247.

ზე. მაგალითად, მედიაცია გაცილებით ნაკლებად ფორმალურია, ვიდრე არბიტრაჟი. ამასთან, მართალია, სამედიაციო პროცესი ძალიან სტრუქტურირებულია, მაგრამ მხარეებს შეუძლიათ შეუძლიათ უარი თქვან ფორმალობებზე.⁷⁸

მედიაცია წარმოებს ფაზების (სტადიების) მიხედვით. ფაზებად კლასიფიკაციის იდეა საინტერესოა, თუმცა ის პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იყოს გაგებული. თუ მედიატორი მხარეებს ეტყვის, რომ ახლა გადადიან მედიაციის ახალ ფაზაში, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამან მხარეებზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინოს და შეთანხმების სასარგებლოდ იმუშავოს. მედიატორი უნდა მიჰყვეს ამ სქემას, თუმცა მისი მკაცრად დაცვა არარაციონალური იქნება, თუ მაგალითად, დავის დროს გაჩნდება ახალი ინფორმაცია, მედიატორმა უარი არ უნდა თქვას მისი დეტალების გაცნობასა და მხარეებთან ერთად მის განხილვაზე იმის გამო, რომ მან ე.წ. „ინფორმაციული ფაზა“ უკვე გაიარა და არგუმენტების წარმოდგენისას ახალი ინფორმაციის მოსმენა არასწორია. ეს მიიჩნევა გადაჭარბებულ „საპროცესოსამართლებრივ“ მიდგომად, რაც მხოლოდ დააზარალებს მედიაციის პროცესს. საქმე ისაა, რომ მედიაცია არის მხარის და არა მედიატორის პროცესი. როცა მხარემ იცის, რომ მედიაციის დროს შეუძლია თქვას ის, რაც სურს, მხარისთვისაც გაუგებარი იქნება, რატომ უნდა დაემორჩილოს ფაზების შესახებ თეორიას, თუ მისი გადმოსახედიდან გაჟღერებული ინფორმაცია დავის არსის გასარკვევად ძალიან მნიშვნელოვანია.⁷⁹

3.1.7. გადაწყვეტილებათა ფართო სპექტრი

მედიაციის ყველაზე დიდი უპირატესობა ისაა, რომ იძლევა ისეთი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას, რომლებიც იურიდიული შედეგების ფარგლებს

სცდება. მედიაცია შეიძლება იქცეს უნივერსალურ ფორუმად, რომელსაც პოტენციურად შეუძლია გადაწყვიტოს ყველა საკითხი (სამართლებრივი და არასამართლებრივი). თუ მხარეს სურს მიიღოს შედეგი, რომელიც არაა თანხის უბრალო გადახდა ან რაიმე ისეთი, რაც არაა სამართლებრივი საშუალება, რომელსაც სასამართლო დააწესებდა, მედიაციას აქვს შესაძლებლობა, უზრუნველყოს არასამართლებრივი, კრეატიული ან კომერციული გადაწყვეტის მოლაპარაკება. ბევრ შემთხვევაში მხოლოდ იურიდიული საკითხების გადაწყვეტა არ იწვევს მხარეთა შორის დავის ეფექტიან მოგვარებას ან საბოლოოდ დასრულებას. მედიაციას შეუძლია მხარეებს შესთავაზოს უპირატესობების ფართო სპექტრი, რომელიც სცილდება სადავო სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას. მაგალითად, საუბრისა და საკუთარი პრობლემების შესახებ ერთმანეთის მოსმენა ქმნის ერთურთის მოსაზრებებისა და საკუთარი საჭიროებების (ინტერესები) კარგად გაგების შესაძლებლობას. ამან შეიძლება მინიმუმამდე დაიყვანოს მომავალში დავების ალბათობა, ან, სულ მცირე, გამოიწვიოს არსებული დავის უფრო დიდი აღიარება და დაადგინოს ის, თუ რამ გამოიწვია დავა. მედიატორის მიერ გონივრულად წარმოებულმა მსგავსმა დისკუსიამ, ასევე, შეიძლება გააუმჯობესოს და ზოგჯერ აღადგინოს მხარეებს შორის კომუნიკაცია. ამ პროცესში მხარეები მუდმივად ცდილობენ, ერთმანეთის პატივისცემის დაცვით გადაწყვიტონ პრობლემები, რამაც შეიძლება გაზარდოს მომავალში სხვებთან დავის მართვის უნარი.⁸⁰

მედიაცია ბიზნესსუბიექტებს სთავაზობს დაცვის ფართო სპექტრს. შეიძლება შეთავაზებული იყოს გრძელვადიანი სტრუქტურირებული გადახდის გრაფიკები და ანიუტეტები (სესხის დაფარვის ფორმები) მხარეებს ნებას რთავს, მეტად შემოქმედებითად მიუდგნენ ეკონომიკურ შედეგებს.⁸¹ ამასთან,

78 Feinberg, K. R., (1989). Mediation – A Preferred Method of Dispute Resolution, Pepperdine Law Review, Vol. 16, Iss. 5, S8-9.

79 ცერცვაძე, გ., (2010). მედიაცია – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 339.

80 Hardy, S., Rundle, O., (2010). Mediation for Lawyers, Australia, p. 10.

81 Tarman, Z. D., (2016). Mediation as an Option for International Commercial Disputes, In: Annales de la faculté de Droit d Istanbul, Vol. 48, No. 65, p. 233.

მედიაციის დროს მოდავე მხარეებს აძლევს შესაძლებლობას, განსაზღვრონ პრობლემის შემოქმედებითად გადაწყვეტის ფართო სპექტრი. სასამართლოს ყოველთვის არ შეუძლია სრულად გამოიკვლიოს ფაქტორები, რომლებიც დავის საფუძველშია. მედიაციის დროს მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად გააფართოონ განსახილველი საკითხები და ეძებონ დავის სიღრმეებში გამომწვევი მიზეზები.⁸² ვინაიდან მედიაცია არაა შესაბამისი საკითხებით მკაცრად შეზღუდული, პროცესმა შეიძლება ასევე გამოიწვიოს ისეთი საკითხების გადაწყვეტა, რამაც შეიძლება წარმოშვას არასაჭირო სასამართლო პროცესი მომავალში.⁸³ ფაქტობრივად, გამოდის, რომ მედიაცია მომავალში არასასურველი დავების პრევენციასაც უწყობს ხელს.

3.1.8. მხარეთა მხრიდან პროცესსა და შედეგზე კონტროლი

განსაკუთრებულია მხარეთა როლი მედიაციის პროცესში. ეს გამოიხატება მედიაციის დაწყებამდე მედიატორის შერჩევის ეტაპშიც. ამასთან, მედიაციის პროცესი შეიძლება წარმართოს ერთმა ან რამდენიმე მედიატორმა. თუმცა მხარეები შეთანხმებით განსაზღვრავენ, ვინ უნდა იყოს მედიატორი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.⁸⁴ მედიაცია განიხილება მართლმსაჯულების დანამატად და არა მის ალტერნატივად. მას შეუძლია მხოლოდ ხელი შეუწყოს დავების აღმოფხვრას, მაგრამ არ შეუძლია მთლიანად საკუთარ თავზე აიღოს ის.⁸⁵ ფაქტობრი-

ვად ნებაყოფლობითობის პრინციპის სამი ელემენტი გამოიყოფა: (1) მხარეები არ უნდა აიძულონ, მიიღონ მონაწილეობა მედიაციაში; (2) პროცესი ყოველთვის უნდა იყოს მათი ერთობლივი კონსენსუალური კონტროლის ქვეშ და (3) შედეგები უნდა იყოს მხარეების მიერ თავისუფლად შეთანხმებული.⁸⁶

ბიზნესსუბიექტები არ კარგავენ პროცესზე კონტროლს და არც არავის სჭირდება მიუთითოს კომერციული ფირმის მენეჯერებს, რომ მათ უნდა მართონ კორპორატიული საქმეები, რათა მაქსიმალურად გაზარდონ სარგებელი კომპანიის კანონიერ უფლებამოსილ ოლქებს, აქციონერებს, თანამშრომლებს, საზოგადოებას. სასამართლო პროცესი შეიძლება პირისპირ მოლაპარაკებებს არ განიხილავდეს წარმატებულად, რადგან ის წინასწარ დადგენილ ჩარჩონებს ეფუძნება, მაშინ, როდესაც მედიაცია დაძაბულობას ხსნის. როცა მედიატორი იღებს საკუთარ კონტროლქვეშ მოლაპარაკების პროცესს, ამ გზით უზრუნველყოფს, რომ მხარეებს შეეძლოთ გააკონტროლონ შედეგები.⁸⁷ ამდენად, მედიაცია უფრო აფართოებს დავის გადაწყვეტის ხერხების არეალს.

მედიაციის პროცესში მხარეები ინარჩუნებენ დიდ კონტროლს საქმის პროცესსა და შედეგზე. მედიაციის დროს მხარეები თავად ქმნიან საკუთარ გადაწყვეტილებას და, შესაბამისად, შეიძლება უფრო მეტად იყვნენ მოდებულნი მის წარმატებაზე.⁸⁸

3.1.9. ორმხრივად მომგებიანობა (ე.წ. „Win-Win მდგომარეობა“)

სასამართლო აწარმოებს პროცესს, რომელშიც შედეგი ყოველთვის ერთი მხარისთვის არის მომგებიანი, ხოლო მეორე

82 Clarke, G. R., Davies, I. T., (1991). ADR Argument for and Against use of the mediation process particularly in Familu and neighbourhood disputes, QLD. University of Technology law Journal, 7, p. 85, <<https://lr.law.qut.edu.au/article/view/343/335/view.html>> [ბოლო წვდომა 17.08.2023].

83 Radford, M. F., (2001). Advantages and Diadvantages of Mediation in Probate, Trust, and Guardianship Matters, Pepp. Disp. Resol. LJ, Vol. 1, p. 249.

84 „მედიაციის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, 2019.

85 ცერცვაძე, გ., (2010). მედიაცია – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ფორმა (ზოგადი მიმოხილვა), თბ., 56.

86 Andrews, N., (2017). Mediation: International Experience and Global Trends, Journal of International and Comparative Law, 4, p. 220.

87 Stipanowich, T., (2004). Why Businesses Need Mediation, Legal Studies Research Paper Series, Commercial Mediation in Europe, p. 11.

88 Radford, M. F., (2001). Advantages and Diadvantages of Mediation in Probate, Trust, and Guardianship Matters, Pepp. Disp. Resol. LJ, Vol. 1, p. 245.

მხარისთვის – წამგებიანი. რაც შეეხება მედიაციას, ის ორივე მხარისთვის მომგებიანი პროცესია. განსაკუთრებით ეს ითქმის საოჯახო ან სამეზობლო მედიაციაზე.⁸⁹ შესაბამისად, სასამართლო და საარბიტრაჟო პროცესისგან განსხვავებით, მედიაცია ორმხრივ მოგებაზე ორიენტირებულ პროცესს მოიაზრებს.⁹⁰

4. Gelashvili I., Chanturia L. (Ed.), Commentary on the Civil Code of Georgia, Book Three, General Part of Obligatory Law, Tbilisi, 2019.
5. German Civil Code, second edited edition, Chechelashvili Z. Translator, Chachanidze E./Darjania T. (ed.), Tbilisi, 2019.
6. Kardava E., Comparative legal review of European standards of consumer rights protection on the example of a contract concluded on the street, Review of Georgian Law, special edition, 2007.
7. Lakerbaya T., The right to reject a contract: a comparative analysis of Georgian and European contract law, Tbilisi, 2016.
8. Lakerbaya T., Zaalishvili V., Zoidze T., Consumer Rights Protection Law, Tbilisi, 2018.

Legislative acts:

1. Association Agreement of June 27, 2014 between Georgia, on the one hand, and the European Union and the European Atomic Energy Union, on the other hand, and their member states, website, 11/09/2014.

2. Law of Georgia Civil Code of Georgia, Department of the Parliament of Georgia, 31, 24/07/1997.
3. Law of Georgia Code of Product Safety and Free Circulation, Legislative Gazette of Georgia, 25/05/2012.
4. Law of Georgia on Consumer Rights, SSM website, 06/04/2022.
5. Law of Georgia on Protection of Consumer Rights, Parliamentary Office, 007, 30/04/1996, (repealed by the Law of Georgia, – Project Security and Free Circulation Code, Legislative Gazette of Georgia, 25/05/2012).

English speaking:

1. Guidance on the interpretation and application of Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council on consumer rights, Official Journal of the European Union, C 525/1, 2021, <[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(04\)&from](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(04)&from)> [Last seen 28.04.2023].
2. Haupt S., An Economic Analysis of Consumer Protection in Contract Law, German Law Journal, Vol. 4, No. 11, 2003, <<https://doi.org/10.1017/S2071832200012013>> [Last seen: 09.04.2023].
3. Kozminski AK, Consumers in Transition from the Centrally Planned Economy to the Market Economy, Journal of Consumer Policy, Vol. 14, No. 4, 1991.
4. Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European Consumer Protection Law, Journal of Law, No. 1, Tbilisi, 2014 .
5. Loos M., Full Harmonization as a Regulatory Concept and its Consequences for the National Legal Orders: The Example of the Consumer Rights Directive, Center for the Study of European Contract Law, No. 3, 2010, <<https://ssrn.com/abstract=1639436>> [Last seen 15.04.2023].
6. Mendes I., The Development of Portuguese Consumer Law with Special Regard to Conflict Resolution, Journal of Consumer Policy, Vol. 17, No. 1, 1994.
7. Micklitz B., The Necessity of a New Concept for the Further Development of the Consumer Law in the EU, German Law Journal, Vol. 4, No. 10, 2003 .
8. Waddington L., Reading a Duty to Provide Accessible Pre-Contractual Information for Consumers with Disabilities into EU Consumer Protection Law, Journal of Consumer Policy, Vol. 45, No. 2, 2022.

Legislative acts and judicial practice:

1. Case C-105/17, Komisia za zashtita na potrebitelite v Evelina Kamenova, [2018] ECR.
2. Case C-105/17, Komisia za zashtita na potrebitelite v Evelina Kamenova, [2018] ECR .
3. Case C-329/19, Condominio di Milano, via Meda v Eurothermo SpA, [2020] ECR .
4. Case C-361/89, Patrice Di Pinto, [1991], ECR.
5. Directive 2011/83/EU of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, OJ L 304/64.

მომხმარებლის უფლებების ცნება და ისტორიული მიმოხილვა

ჯივან მკრტჩიან

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის კერძო სამართლის მაგისტრი*

აბსტრაქტი

სტატია მიზნად ისახავს მომხმარებლის უფლებების ცნებისა და დაცვის აუცილებლობის დადგენას მომხმარებლის უფლებების წარმოშობის ისტორიული აუცილებლობისა და საქართველოში, ევროკავშირისა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული საკანონმდებლო რეგულაციების განხილვის საფუძველზე. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია მომხმარებლის უფლებების წარმოშობის, ევროკავშირისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მათი განვითარების საკითხები. სტატიაში, გარდა ამისა, მიმოხილულია ევროკავშირის, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს კანონმდებლობებში მომხმარებლისა და მოვაჭრის ცნებასთან დაკავშირებით დღეს არსებული მიდგომები.

საკვანძო სიტყვები: მომხმარებელი, მოვაჭრე, საქართველო, ევროკავშირი, საბჭოთა კავშირი, ცნება, დეფინიცია

შესავალი

მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართალი შედარებით ახალი და სპეციფიკური მიმართულებაა კერძო სამართალში, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, მომხმარებლის, როგორც კერძო სამართლებრივი ურთიერთობის „სუსტი მხარის“ უფლებების დაცვა, ხოლო, მეორე მხრივ, დიდი კომპანიების მონოპოლიური და-

ლაუფლების არაკეთილსინდისიერად გამოყენების რისკების შემცირება.

მომხმარებლის უფლებების დაცვას პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებს საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 26 (4) მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, „მომხმარებლის უფლებები დაცულია კანონით“. ამასთანავე, 2022 წლის 4 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც, გარკვეულწილად, იმეორებს ევროკავშირის მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივის რეგულაციებსა და სულისკვეთებას.

შესაბამისად, ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მომხმარებლის უფლებების წარმოშობისა და განვითარების ეტაპების განხილვა ევროკავშირისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის გამოცდილების ურთიერთშედარების საფუძველზე, ასევე, საქართველოს ახალი კანონიდან გამომდინარე, მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართლის აუცილებლობის, მომხმარებლისა და მოვაჭრის დეფინიციის განსაზღვრა ევროკავშირის დირექტივებთან და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობასთან შედარების გზით. ამასთან ერთად, განსახილველი თემა აქტუალურია, რადგან მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართალი მუდმივად განვითარებადი სფეროა და მომხმარებლისა და მოვაჭრის ცნებების დადგენა საკვანძოა მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართლის შემდგომი განვითარებისა და ტრანსფორმირების დასადგენად, ისტორიულად მომხმარებლის უფლებების დაცვის აუცილებლობის და წარმოშობის ისტორიის გათვალისწინებით.

1. ისტორიული მიმოხილვა

1.1. მომხმარებლის უფლებების წარმოშობა და განვითარება

მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართალი შედარებით ახალი მიმართულებაა სამართლის მეცნიერებაში. თავდაპირ-

ველად, მომხმარებლის უფლებების დაცვა დაკავშირებული იყო საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან, ხოლო მომხმარებლის უფლებების დაცვის აუცილებლობა განპირობებული იყო ბაზარზე მწარმეების მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების საშიშროებით.¹

მომხმარებლის უფლებების თანამედროვე გაგება სათავეს იღებს ჯერ კიდევ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ კენედის 1962 წლის კონგრესისადმი მიმართვიდან,² სადაც პრეზიდენტი მომხმარებელს განმარტავს შემდეგნაირად: „მომხმარებელი განსაზღვრებით მოიცავს ჩვენ ყველას“.³ მომხმარებლის უფლებების შემდგომი განვითარება ძირითადად დაკავშირებულია ევროკავშირთან. მართალია, დღეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს მომხმარებლის უფლებების დაცვის თითქმის მსგავსი რეგულაციები აქვთ,⁴ თუმცა ისტორიულად აღნიშნული ჰარმონიზაცია საკმაოდ რთულად წარიმართა.

პირველი სირთულე დაკავშირებული იყო იმ ფაქტთან, რომ ევროპის თანამეგობრობაში შედიოდნენ სრულიად განსხვავებული სამართლის ოჯახის ქვეყნები, კერძოდ, საერთო სამართლის, რომანული სამართლის, გერმანული სამართლისა და სკანდინავიური სამართლის ოჯახები.⁵ თუმცა, მიუხედავად ამ გამოწვევისა, ევროპის კომისიის მიერ განხორციელდა ორი მნიშვნელოვანი პროგრამა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით, რაც დაკავშირებულია 1975-1980-იან წლებთან.⁶ კერძოდ, 1975 წლის

1 Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European Consumer Protection Law, Journal of Law, №1, Tbilisi, 2014, 79.

2 Micklitz B., The Necessity of a New Concept for the Further Development of the Consumer Law in the EU, German Law Journal, Vol. 4, №10, 2003, 1043.

3 Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European Consumer Protection Law, Journal of Law, №1, Tbilisi, 2014, 79.

4 ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, თბილისი, 2018, 62.

5 Micklitz B., The Necessity of a New Concept for the Further Development of the Consumer Law in the EU, German Law Journal, Vol. 4, №10, 2003, 1043.

6 იქვე.

მომხმარებელთა დაცვის პროგრამაში გათვალისწინებული იყო მომხმარებლის ხუთი ძირითადი უფლება:

- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის უფლება;
- ეკონომიკური ინტერესების დაცვის უფლება;
- ზიანის ანაზღაურების;
- განათლების უფლება (ინფორმაციის მიღების უფლება);
- მოსმენის უფლება.⁷

მეორე სერიოზული პრობლემა დაკავშირებული იყო ევროპის გაერთიანებაში საერთო ბაზრის არარსებობასა და გაერთიანების წევრ ქვეყნებში სხვადასხვა სამართლებრივი რეგულაციების არსებობასთან. საერთო ევროპული ბაზრის შექმნისა და მეტ-ნაკლებად, მსგავსი სამართლებრივი რეგულაციების მიღების პირველი სერიოზული მცდელობა იყო 1986 წელს ევროპის გაერთიანების ქვეყნების მიერ ერთიანი ევროპული აქტის მიღება,⁸ რომლის შედეგად შეიცვალა ევროპის გაერთიანების შიდა ბაზართან დაკავშირებული მანამდე არსებული რეგულაციები. მიუხედავად იმისა, რომ აქტით გათვალისწინებული იყო მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტები, პრაქტიკულად, იგი დაკავშირებული არ იყო რეალურ შედეგებთან.⁹

ევროპის გაერთიანების ქვეყნებს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის უფრო დაახლოების მიზნით,¹⁰ 1992 წელს, მაასტრიხის ხელშეკრულებით შეიქმნა ევროკავშირი,¹¹ რომელმაც განაპი-

რობა მომხმარებლის უფლებების დაცვის უფრო მაღალი სტანდარტების მიღების აუცილებლობა.¹²

მომხმარებელთა უფლებების გაძლიერების კუთხით ერთ-ერთი გადამწყვეტი შეთანხმებაა 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე ინფორმაციის მიღების უფლებამ კრიტიკულად მნიშვნელოვანი დატვირთვა შეიძინა.¹³

1.2. მომხმარებლის უფლებები საბჭოთა კავშირში

ევროპის კონტინენტის პარალელურად, სადაც საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა მომხმარებლის უფლებების დაცვის სტანდარტები, საბჭოთა კავშირში სრულიად განსხვავებული სურათი იყო. ცენტრალურად დაგეგმილი ბაზრის პირობებში, მომხმარებელს არ ჰქონდა საკუთარი უფლებების დაცვის ძალაუფლება, რადგან მწარმოებელი დომინირებდა ბაზარში და არსებობდა „უნდა იყიდო, ადვილია გაყიდვა“ პრინციპი.¹⁴ 1970-1980-იან წლებში, როდესაც ევროპაში მომხმარებლის უფლებების დაცვის პროგრამებში მომხმარებლის ხუთ ძირითად უფლებებზე მსჯელობდნენ, საბჭოთა კავშირი მომხმარებლის ყველაზე ელემენტარული საჭიროებებსაც კი არ აკმაყოფილებდა, რამაც შემდგომში გამოიწვია 1990-1991-იან წლებში ციმბირის მაღაროელთა და მინსკის ტრაქტორების მუშების გაფიცვები.¹⁵

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გარდამავალმა პერიოდმა განაპირობა მომხმარებლის უფლებების დარღვევის სერიოზუ-

7 ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 30.

8 ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, თბილისი, 2018, 62.

9 Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European Consumer Protection Law, Journal of Law, №1, Tbilisi, 2014, 80.

10 ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 30.

11 Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European Consumer Protection Law, Journal of Law, №1, Tbilisi,

2014, 80.

12 ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 31.

13 Micklitz B., The Necessity of a New Concept for the Further Development of the Consumer Law in the EU, German Law Journal, Vol. 4, №10, 2003, 1043.

14 Kozminski A. K., Consumers in Transition from the Centrally Planned Economy to the Market Economy, Journal of Consumer Policy, Vol. 14, №4, 1991, 356.

15 იქვე, 360.

ლი რისკები. დამოუკიდებელი რუსეთისთვის კმაყოფილი მომხმარებელი გახდა პოლიტიკური სტაბილურობის წინაპირობა.¹⁶ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებიდან პოლონეთმა აირჩია „შოკის მკურნალობის“ და „დაჩქარებული გადასვლის“ პოლიტიკა, ხოლო უნგრეთმა „თანდათანობითი გადასვლის“ პოლიტიკა, რაც საკმაოდ დადებითად აისახა მომხმარებლის კეთილდღეობაზე.¹⁷

1.3. ნაციონალური კანონმდებლობების დირექტივებთან ჰარმონიზაცია

ევროკავშირში მომხმარებელთა უფლებების მომწესრიგებელი საერთო რეგულაციების მიღების შემდეგ დღის წესრიგში წევრი სახელმწიფოების მიერ აღნიშნული რეგულაციების ნაციონალურ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის საკითხი დადგა.¹⁸ ამ გზაზე წევრ სახელმწიფოებს ორი არჩევანი ჰქონდათ – ან მომხმარებელთა დაცვის სტანდარტები გაეზრცელებინათ მთლიან სახელშეკრულებო სამართალზე, ან ახალი კანონების მიღებით სპეციალურად მოეწესრიგებინათ ეს სფერო.¹⁹ ამ თვალსაზრისით, გერმანიამ და ჰოლანდიამ პირველი გზა აირჩიეს, განახორციელეს ცვლილებები სამოქალაქო კოდექსში, რითაც ერთიანი სტანდარტები გააზრცელეს მომხმარებელსა და სახელშეკრულებო სამართლის ყველა „სუსტ“ მხარეზე.²⁰ ამის საპირისპიროდ, საფრანგეთი და

იტალია მეორე გზით წავიდნენ და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ცალკე კანონი (ან კოდექსი) მიიღეს.²¹

ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველო საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყანა იყო და შესაბამისად, საბჭოთა კანონმდებლობას იზიარებდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1996 წელს, ჯერ კიდევ სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, საქართველოში მიღებულ იქნა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონი,²² რომელიც ხაზს უსვამდა საქართველოში მომხმარებლის უფლებების დაცვის მნიშვნელობას. შემდგომ ეტაპზე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდეგ, მომხმარებლის უფლებებს, გარკვეულწილად, სამოქალაქო კოდექსიც აწესრიგებდა. ამის ნათელი მაგალითი იყო სსკ-ში 336-ე მუხლის არსებობა, რომელიც აწესრიგებდა ქუჩაში დადებული გარიგების საკითხს. 2012 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“ საქართველოს კანონი,²³ რომლითაც გაუქმდა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის კანონი.

საქართველოს მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციაზე საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა 2014 წლის 27 ივლისს, ერთი მხრივ, საქართველოს და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ

თბილისი, 2018, 73.

16 იქვე, 363.

17 Kozminski A. K., Consumers in Transition from the Centrally Planned Economy to the Market Economy, Journal of Consumer Policy, Vol. 14, №4, 1991, 363-366.

18 ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 34.

19 Loos M., Full Harmonisation as a Regulatory Concept and its Consequences for the National Legal Orders: The Example of the Consumer Rights Directive, Centre for the Study of European Contract Law, №3, 2010, 3, <<https://ssrn.com/abstract=1639436>> [ბოლო წვდომა 15.04.2023].

20 ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი,

21 Loos M., Full Harmonisation as a Regulatory Concept and its Consequences for the National Legal Orders: The Example of the Consumer Rights Directive, Centre for the Study of European Contract Law, №3, 2010, 3, <<https://ssrn.com/abstract=1639436>> [ბოლო წვდომა 15.04.2023].

22 საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 007, 30/04/1996, (გაუქმებულია საქართველოს კანონით, – პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25/05/2012).

23 საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25/05/2012, მუხლი 104 (1) (ა).

სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების დადებამ, რითაც საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულება დაეკისრა, მათ შორის, მომხმარებელთა უფლებების მიმართულებით.²⁴

ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებისა და საქართველოს კონსტიტუციის 26 (4) მუხლიდან გამომდინარე, საქართველომ 2022 წლის 29 მარტს მომხმარებლის უფლებების დაცვის ახალი კანონი მიიღო. საქართველომ, იტალიისა და საფრანგეთის მსგავსად, აირჩია ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზაციის ცალკე აქტით მოწესრიგების გზა.

2. მომხმარებლის უფლებების ცნება და დაცვის აუცილებლობა

წარმოდგენელია ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება პირადი საჭიროების ნივთების შექმნისა და მომსახურებით სარგებლობის გარეშე.²⁵ ამავდროულად, ნივთების შექმნა და მომსახურებით სარგებლობა ამ ურთიერთობების ორივე მხარის ინტერესებში შედის, იმდენად რამდენადაც ორივე მხარის საჭიროებიდან გამომდინარეობს.²⁶ ხოლო კერძო პირებს შორის დამყარებული ურთიერთობები, რომელიც წესრიგდება სამოქალაქო კანონმდებლობით, ემყარება პირთა თანასწორობასა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებს.²⁷ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, კერძო ავტონომიის პრინციპიდან

გამომდინარეობს²⁸ და მოიცავს ხელშეკრულების დადებისა და შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებას.²⁹ ხოლო მხარეთა თანასწორობა ნიშნავს მათ შესაძლებლობას თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად, თავისუფლად აირჩიონ კონტრაქტის და მასთან დაამყარონ კერძო სამართლებრივი ურთიერთობა.³⁰ თუმცა, ისტორიულად, ასეთი ტიპის ურთიერთობებში, მოვაჭრეს ყოველთვის ჰქონდა ძალაუფლება, მეორე მხარის ინტერესების შეზღუდვის გზით, მოეხდინა საკუთარი საუკეთესო ინტერესების რეალიზება³¹ და ამდენად, იგი მიდრეკილი იყო დომინანტური მდგომარეობის მიღწევისა და შენარჩუნებისკენ. ამასთანავე, მომხმარებელი აღიარებულია როგორც ნაკლებად მცოდნე, ნაკლებად ინფორმირებული და ეკონომიკურად დაბლა მდგომი მწარმოებლისა და მოვაჭრისგან.³² აღნიშნული ქმნის უთანასწორობას მხარეებს შორის და მომხმარებელს სუსტ პოზიციაზე აყენებს. ამდენად, ჩნდება აღნიშნული უთანასწორობის აღმოფხვრისა და კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი კერძო ავტონომიისა და მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხი.

სსკ-ის 10 (2) მუხლის თანახმად, „სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახოხციელონ კანონით აუკრძადავი, მათ შორის კანონით გაუთვადისწინებელი, ნებისმიერი მოქმედება“. აქედან გამომდინარე, სსკ მხარეებს შეუზღუდავ ავტონომიას/თავისუფლებას კი არ აძლევს, არამედ, საჭიროების შემთხვევაში, მკაფიოდ ადგენს სავალდებულო ქცევის წესს, იმპერატიული ნორმების მეშვეობით.³³ ასეთ

24 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ვებგვერდი, 11/09/2014, XXIX დანართი.
25 ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, თბილისი, 2018, 107.
26 ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 92.
27 საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, მუხლები პირველი და 319 (1).

28 ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 90-91.
29 გელაშვილი ი., ჭანტურია ლ. (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019, 55.
30 იქვე, 54.
31 Haupt S., An Economic Analysis of Consumer Protection in Contract Law, German Law Journal, Vol. 4, №11, 2003, 1137, <<https://doi.org/10.1017/S2071832200012013>> [ბოლო წვდომა 09.04.2023].
32 იქვე.
33 საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალა-

შემთხვევაში, კანონმდებელი სუსტი მხარის დაცვას ისახავს მიზნად.³⁴

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როდესაც კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ერთი მხარე, ობიექტური ან სუბიექტური გარემოებების გამო³⁵ ითვლება სუსტ მხარედ, კანონმდებელი ცდილობს იმპერატიული ნორმების მეშვეობით დააბალანსოს მხარეთა ინტერესები და უზრუნველყოს მხარეთა კერძო ავტონომია და მხარეთა თანასწორობა.

მომხმარებელი, მოვაჭრესთან დამყარებულ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, აღიარებულია სუსტ მხარედ, ვინაიან მომხმარებელი არის ნაკლებად ინფორმირებული, ხოლო მოვაჭრე კი მინისწრაფვის იყოს დომინანტი.³⁶ შესაბამისად, საჭიროა მხარეთა შორის აღნიშნული უთანასწორობის გათანაბრება. ამ კონტექსტში, წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმაციის მიწოდება შეიძლება იყოს თანასწორობის უზრუნველსაყოფად საკვანძო მნიშვნელობის მქონე ინსტრუმენტი.³⁷ აქედან გამომდინარე, კანონმდებელი, იმპერატიული ნორმების მეშვეობით, მოვაჭრეს უწესებს მომხმარებლისთვის შესაძენი საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, რომელიც საჭიროა მომხმარებლის თავისუფალი და ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად.³⁸

მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივის თანახმად, „წინამდებარე დირექტივა, მის დებულებებში მოცემული პირობების თანახმად და მათ ფარგლებში, ვრცელდება მოვაჭრესა და მომხმარებელს

შორის დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაზე.“³⁹ მსგავს რეგულაციას შეიცავს მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ კანონის 2 (1) მუხლი, რომლის თანახმად, „ეს კანონი განსაზღვრავს იმ მომხმარებლის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მოვაჭრესთან...“. აქედან გამომდინარე, მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართალი არის მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი.⁴⁰

შეჯამების სახით, არასაკმარისი ინფორმირებულობა მომხმარებლის სისუსტის განმაპირობებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რის შედეგად მომხმარებელს მოკლებული აქვს შესაძლებლობა თავისუფალი ნების გამოვლენით დადოს გარიგება და თანაბრად ზეგავლენა მოახდინოს ამ პროცესზე. ამდენად, მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართალი უზრუნველყოფს კერძო ავტონომიისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპების რეალიზებას, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის წინსვლისა⁴¹ და სამოქალაქო სტაბილურობის საფუძვლებია.

3. მომხმარებლის ცნება

გამომდინარე საქართველოს ევროკავშირის წევრობის მისწრაფებისა და ევროკავშირთან დადებული ასოცირების ხელშეკრულებიდან, მიზანშეწონილია განვიხილოთ, ასევე, მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივის რეგულაციები და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიდგომები ამ საკითხთან დაკავშირებით.

ქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997, მუხლი 10 (3).

34 ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010, 8.

35 იქვე.

36 იქვე, 1137.

37 Waddington L., Reading a Duty to Provide Accessible Pre Contractual Information for Consumers with Disabilities into EU Consumer Protection Law, Journal of Consumer Policy, Vol. 45, №2, 2022, 308.

38 Mendes I., The Development of Portuguese Consumer Law with Special Regard to Conflict Resolution, Journal of Consumer Policy, Vol. 17, №1, 1994, 115.

39 Directive 2011/83/EU of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, OJ L 304/64, Article 3 (1).

40 აღნიშნულზე მიუთითებს „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათის ა.გ) ნაწილიც, რომლის თანახმად, „კანონპროექტი არეგულირებს მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს...“

41 ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 91.

3.1. მომხმარებლის ცნება ევროკავშირის დირექტივაში

მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივის თანახმად, მომხმარებელი არის ნებისმიერ ფიზიკურ პირი, „*ხომელიც წინამდებარე დიხექტივით განსაზღვრულ ხედშეკიდებაში მოქმედებს იმ მიზნებისთვის, ხომდებიც ახ უკავშირდება მის ვაჭრობას, ბიზნესს, ხედობას ან პხოფესიას*“.⁴²

ამ განმარტებიდან გამომდინარე, ორი – სუბიექტური და ფუნქციონალური კრიტერიუმ⁴³ – კუმულატიურად უნდა იყოს სახეზე იმისათვის, რომ პირი მომხმარებლად მოიაზრებოდეს. კერძოდ:

- მომხმარებელი უნდა იყოს ფიზიკური პირი (სუბიექტური კრიტერიუმი);
- და უნდა მოქმედებდეს არაპროფესიული მიზნებით (ფუნქციონალური კრიტერიუმი).⁴⁴

უფრო მეტიც, შერეული ტიპის ხელშეკრულებებში, როდესაც ფიზიკური პირი ნაწილობრივ მოქმედებს თავისი კომერციული საქმიანობის ფარგლებში და ნაწილობრივ ცდება მის კომერციულ საქმიანობას, ამასთანავე, მისი კომერციული საქმიანობის მიზანი შეზღუდულია და არ არის უპირატესი ხელშეკრულების მიზნებისთვის, პირი უნდა განიხილებოდეს მომხმარებლად.⁴⁵

3.2. მომხმარებლის ცნება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობებში

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში განსხვავებული მიდგომები აღინიშნება მომხმარებლის დეფინიციასთან დაკავშირებით. ზოგიერთ ქვეყანაში მომხმარებლის დეფინიცია განსაზღვრულია ისე, როგორც მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივაში. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-13 პარაგრაფის თანახმად, „*მომხმარებელი აჩის ნებისმიეი ფიზიკუი პიიი, ხომელიც ეებს ისეთ გაჩიგებას, ხომელიც აჩ განეკუთვნება მის სამეწაქემო ან პხოფესიულ საქმიანობას*“.⁴⁶ ამასთანავე, გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მომხმარებლის უფლებების დამცავი ნორმები, გარკვეულწილად, ვრცელდება დასაქმებულზეც, რომელიც არ არის თვითდასაქმებული.⁴⁷

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს “Patrik vs. Pinto” გადაწყვეტილების თანახმად, მომხმარებლის ფართო განმარტება მიუღებელია და იგი უნდა შემოიფარგლებოდეს, მხოლოდ, ფიზიკური პირით.⁴⁸ აღნიშნულ მიდგომას იზიარებს, მაგალითად, გერმანია.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ცდილობენ მაქსიმალურად ერთნაირი სტანდარტები დაამკვიდრონ მომხმარებელთა უფლებების სამართალში,⁴⁹ წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობებში მომხმარებლის ცნებასთან დაკავშირებით მაინც განსხვავებული მიდგომებიც

42 Directive 2011/83/EU of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, OJ L 304/64, Article 2 (1).

43 Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European Consumer Protection Law, Journal of Law No 1, Tbilisi, 2014, 82.

44 Guidance on the interpretation and application of Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council on consumer rights, Official Journal of the European Union, C 525/1, 2021, 6, <[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(04\)&from](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(04)&from)> [ბოლო წვდომა: 28.04.2023].

45 იქვე.

46 გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჭეჭელაშვილი ზ. მთარგმნელი, ჩაჩანიძე ე./დარჯანია თ. (რედ.), თბილისი, 2019, პარაგრაფი 13.

47 Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European Consumer Protection Law, Journal of Law, No 1, Tbilisi, 2014, 84.

48 Case C-361/89, Patrice Di Pinto, [1991], ECR I-01189; Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European Consumer Protection Law, Journal of Law, №1, Tbilisi, 2014, 83.

49 Directive 2011/83/EU of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, OJ L 304/64, Article 1.

აღნიშნება. აღნიშნული, დირექტივის დარღვევა კი არ არის, არამედ ევროკავშირის სამართალი თვითონ აძლევს წევრ სახელმწიფოებს ნაციონალურ კანონმდებლობაში გააფართოონ მომხმარებლის ცნება და მასში მოიაზრონ, ასევე, იურიდიული პირები და ფიზიკურები პირები, რომლებიც მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივის 2 (1) მუხლის თანახმად არ ითვლებიან მომხმარებლებად.⁵⁰ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების თანახმად, შესაძლებელია წევრი სახელმწიფოს სასამართლო პრაქტიკით გაფართოვდეს მომხმარებლის ცნება და მისი დამცავი წესები გავრცელებდეს სამართლის ისეთ სუბიექტებზე, რომლებიც არ არიან ფიზიკური პირები დირექტივის გაგებით, მაგალითად, იტალიის კანონმდებლობაში თანამფლობელთა ასოციაცია.⁵¹ ავსტრიისა და ჩეხეთის კანონმდებლობის თანახმად, იურიდიული პირიც შეიძლება იყოს მომხმარებელი, თუ იგი ყიდულობს პროდუქტს ან სარგებლობს მომსახურებით არაპროფესიული მიზნებით.⁵² ხოლო საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა მომხმარებლად იხილავს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, თუ ისინი მოქმედებენ არაპროფესიული მიზნებით. მაგალითად, უძრავი ქონების სააგენტო, რომელიც სამუშაო ადგილზე სიგნალიზაციის სისტემის დაყენება სურს და ამის თაობაზე დებს გარიგებას, ითვლება მომხმარებლად.⁵³

3.3. მომხმარებლის დეფინიცია საქართველოს კანონმდებლობაში

„ნებისმიერი ჩვენთაგანი მომხმარებელი“.⁵⁴ მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივის მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობაც აღნიშნულ მიდგომას იზიარებს.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის კანონის თანახმად, „მომხმარებელი აჩის პიჩადი საჭიჩოებისათვის საქონდის/სამუშაოს, მომსახურების/ გამოყენებელი, შემძენი, შემკვეთი, ან ასეთი განზხავის მქონე მოქადაქე“. მაგრამ, დღეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, გერმანიის მსგავსად, მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივით განსაზღვრულ დეფინიციას იზიარებს, იმ განსხვავებით, რომ საქართველოში მომხმარებლის დეფინიცია მოცემულია მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონში, ხოლო გერმანიაში – სამოქალაქო კოდექსში. მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონის თანახმად, „მომხმარებელი აჩის ნებისმიეჩი ფიზიკუჩი პიჩი, ჩომედსაც სთავაზობენ ან ჩომედიც იძენს ან შემდგომ იყენებს საქონედს ან მომსახურებას უპიჩაგესად პიჩადი მოხმარების მიზნით და აჩა სავაჭრო, სამეწაჩემო, სახელობო ან სხვა პჩოფესიუდი საქმიანობის განსახოჩიკედედაქე“.⁵⁵ საქართველოს მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონი, მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივის მსგავსად, ითვალისწინებს, ასევე შერეული ხელშეკრულებების შემთხვევაში, ზოგადად, ოთხი ძირითადი მიდგომა არსებობს:

- ისინი არ ითვლებიან სამომხმარებლო ხელშეკრულებებად;
- ისინი სამომხმარებლო ხელშეკრულებებად ითვლებიან, თუ პერსონალური

50 Guidance on the interpretation and application of Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council on consumer rights, Official Journal of the European Union, C 525/1, 2021, 6-7, <[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(04\)&from](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(04)&from)> [ბოლო წვდომა: 28.04.2023].

51 Case C-329/19, Condominio di Milano, via Meda v Eurothermo SpA, [2020] ECR, para. 34.

52 Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European Consumer Protection Law, Journal of Law №1, Tbilisi, 2014, 83.

53 ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, თბილისი, 2018, 110.

54 ქარდავა ე., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2007, 122.

55 საქართველოს კანონი მომხმარებლის უფლებების შესახებ, სსმ ვებგვერდი, 06/04/2022, მუხლი 4 (ი).

- ინტერესი უპირატესია;
- ისინი სამომხმარებლო ხელშეკრულებად ითვლებიან, თუ პერსონალური ინტერესი სადავო და გაურკვეველია;
- ისინი ითვლებიან სამომხმარებლო ხელშეკრულებებად.⁵⁶

საქართველოს კანონმდებლობა მე-2 და მე-3 მიდგომებს იზიარებს, კერძოდ, მომხმარებლის უფლებების დაცვის „კანონის მოქმედება ვიდეო, ავხეთვე, ისეთ შეხვედრი მიზნის ხელშეკრულებაზე, რომელიც პირადი მოხმარების ინტერესის კომეხციუდ ინტერესზე უპირატესია. ხელშეკრულებაში ინტერესის უპირატესობასთან დაკავშირებული ბუნდოვანება მომხმარებლის სასახეებდო უნდა გადაწყდეს“.⁵⁷

ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ, ჯერჯერობით, სასამართლოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით არ ყოფილა დავა, შესაბამისად, არ არის ცნობილი, სასამართლო როგორ განმარტავს კანონის ამ ჩანაწერს. თუმცა, ყველა შემთხვევაში, კანონის განმარტებითი ბარათი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უწყობს „ფიზიკური პირის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედის მოვალეობასთან...“.⁵⁸ ცხადია, რომ, ამ კონტექსტში, ახალი კანონის მიღება სახელმწიფოს ამ პოლიტიკის ნაწილია. შესაბამისად, ვფიქრობ, ყველა შემთხვევაში, სასამართლო შეზღუდული იქნება მომხმარებლის ცნება ძალიან გააფართოვოს და მასში მოიაზროს იურიდიული პირები (მაგ. არაკომერციული იურიდიული პირები,⁵⁹ მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, პატარა და საშუალო ზომის საწარმოები⁶⁰ ან

არასამთავრობო ორგანიზაციები).

4. მოვალეობის ცნება

4.1. მოვალეობის ცნება ევროკავშირში

როგორც ზემოთ აღინიშნა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი არის მომხმარებელსა და მოვალეობას შორის წარმოშობილი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართალი. ტერმინოლოგიურად, ევროკავშირის სამართლებრივ აქტებში, მომხმარებლის გვერდით, გვხვდება სხვა ტერმინებიც (მაგ. ბიზნესი, გამყიდველი, მომსახურების გამწვევი და ა.შ.⁶¹), რომლებიც, ფაქტობრივად, ხელშეკრულების ძლიერი მხარის ფუნქციას ასრულებენ. ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ამ ნაწილში განვიხილავთ მხოლოდ ევროკავშირის მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივის დეფინიციას.

მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივის 2 (2) მუხლი მოვალეობას განმარტავს, როგორც „ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, მიუხედავად მისი კეხდო ან საჯახო საკუთრებაში ახსებობისა, რომელიც თავად, მათ შორის, მისი სახელით ან მის ნაცვდად მოქმედი პირის საშუალებით, მოქმედებს წინამდებარე დიხექტივით განსაზღვრულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მისი ვაჭრობის, ბიზნესის, ხელობის ან პოფესიის მიზნებისთვის“.⁶²

მიუხედავად დირექტივის ამ განმარტებისა, სასამართლო პრაქტიკაში სასამართლო რიგ გარემოებებს აფასებს. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო „Kamenova“-ს საქმეში აღნიშნავს, რომ „მოვალეობის“ დეფინიცია მეტ-ნაკლებად იდენტურადაა განმარტებული ევროკავშირის 2005/29/EC დირექტივასა და ევროკავშირის

56 Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European Consumer Protection Law, Journal of Law №1, Tbilisi, 2014, 84.

57 საქართველოს კანონი მომხმარებლის უფლებების შესახებ, სსმ ვებგვერდი, 06/04/20222, მუხლი (2).

58 „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი, ა.გ) ნაწილი, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113041>> [ბოლო წვდომა: 10.04.2023].

59 ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, თბილისი, 2018, 111.

60 Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European

Consumer Protection Law, Journal of Law №1, Tbilisi, 2014, 83.

61 ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, თბილისი, 2018, 114.

62 ევროპარლამენტისა და საბჭოს 2011 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2011/83/EC, სსმ ვებგვერდი, 20/02/2019, მუხლი 2 (2).

ადამიანის უფლებების დაცვის დირექტივაში.⁶³ შესაბამისად, გამომდინარე 2005/29/EC დირექტივის საფუძველზე განვითარებული სასამართლო პრაქტიკიდან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე უნდა დადგინდეს რამდენად არის კონკრეტული სუბიექტი მოვაჭრე:

- „ვაჭრობა ოჩგანიზებულ ხასიათს ატარებს თუ ახა;
- ვაჭრობა გამიზნულია, თუ ახა მოგების მოღებისკენ;
- გააჩნდა თუ ახა გამყიდველს იუხიდიური სტატუსი, ხომელიც მათ საშუალებას აძლევდა ეწეოდნენ კომეხციურ საქმიანობას;
- გააჩნია თუ ახა მხაიეს გასაყიდი ნივთის შესახებ ინფორმაცია, ხომელიც ახ გააჩნია მომხმარებელს და ხომელიც მას უფრო ხელსაყიდ მდგომარეობაში აყენებს და სხვა კრიტერიუმები“.⁶⁴

თუმცა, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ეს წინაპირობები არ არის ამომწურავი. უფრო მეტიც, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ თუნდაც სახეზე იყოს ერთი ან ორი კრიტერიუმი, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ პირი მოვაჭრეა.⁶⁵ ამდენად, სასამართლო პრაქტიკით მოვაჭრედ განიხილება პირი, რომელიც მომხმარებელთან შედარებით ძლიერ მდგომარეობაში იმყოფება.

4.2. მოვაჭრის ცნება საქართველოს კანონმდებლობაში

„მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის კანონი არ ითვალისწინებდა მოვაჭრის დეფინიციას, სამაგიეროდ, კანონი აძლევდა „გამყიდველის“, „შემსრულებლის“ და „დამამზადებლის“ ცნებების დეფინიციებს.⁶⁶

დღეს მოქმედი კანონი, მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივის მსგავსად, მოიცავს მოვაჭრის დეფინიციას. კერძოდ, ამ კანონის 4 (თ) მუხლის თანახმად, მოვაჭრე არის „ნებისმიერი ფიზიკური პირი, იუხიდიური პირი ან პირთა გაერთიანება, ხომელიც მოქმედებს კომეხციური საქმიანობის ფაჩგვებში, აჩეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, ხომელიც მოქმედებს მოვაჭრის სახელით ან დავადებით“.

კანონის ამ ჩანაწერიდან გამომდინარე, მოვაჭრე შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომელიც მოქმედებს კომერციული საქმიანობის ფარგლებში.⁶⁷

დასკვნა

მსოფლიოს მუდმივი განვითარების პარალელურად ადამიანების ახალი საჭიროებები განაპირობებენ არსებული ურთიერთობების ახლებურად მოწესრიგების აუცილებლობას. ამის ნათელი მაგალითია მომხმარებლის უფლებების დაცვის საერთაშორისო, რომელიც სათავეს იღებს 1960-იანი წლებიდან და გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებით, რომლის თანახმად, ინფორმაციის მიღების უფლება, მომხმარებლის დაცვის კუთხით, საკვანძო როლს იკისრებს. ამისგან განსხვავებით,

63 Case C-105/17, Komisia za zashtita na potrebitelite v Evelina Kamenova, [2018] ECR, para(s). 27-30.

64 Guidance on the interpretation and application of Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council on consumer rights, Official Journal of the European Union, C 525/1, 2021, 6, <[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(04\)&from](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(04)&from)> [ბოლო წვდომა 28.042023].

65 Case C-105/17, Komisia za zashtita na potrebitelite v Evelina Kamenova, [2018] ECR, para(s). 27 – 29, 34 – 40 and 45; Guidance on the interpretation and application of Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council on consumer rights, Official Journal of the European Union, C 525/1, 2021, <[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(04\)&from](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(04)&from)> [ბოლო წვდომა 28.042023].

66 საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 007, 30/04/1996, (გაუქმებულია საქართველოს კანონით – პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25/05/2012).

67 საქართველოს კანონი მომხმარებლის უფლებების შესახებ, სსმ ვებგვერდი, 06/04/2022, მუხლი 4 (ზ).

საბჭოთა კავშირში მომხმარებელს თავისი უფლებების დაცვის მინიმალური ბერკეტებიც არ ჰქონდა.

როგორც დადგინდა, მომხმარებლის დაცვის სამართლის მიზანია ბაზარზე კომპანიების ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილება და კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სუსტი მხარის უფლებების დაცვა.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ საქართველომ, საფრანგეთისა და იტალიის მსგავსად, მომხმარებლის უფლებების ცალკე კანონით რეგულირების გზა აირჩია, განსხვავებით გერმანიისგან, სადაც მომხმარებლის უფლებები სამოქალაქო კოდექსით წესრიგდება და მომხმარებლის ცნება უფრო ფართოდ განიმარტება. კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივა მომხმარებლის უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტებს აწესებს და წევრ სახელმწიფოებს მომხმარებლის

უფლებების უფრო მაღალი სტანდარტებით დაცვის უფლებამოსილებას ანიჭებს.

როგორც კვლევის შედეგად გამოვლინდა, მომხმარებლისა და მოვაჭრის დეფინიცია-სთან დაკავშირებით, მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივასა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში განსხვავებული მიდგომები აღინიშნება. საქართველოს მომხმარებლის უფლებების დაცვის კანონი, ამ კუთხით, იზიარებს მომხმარებლის უფლებების დაცვის დირექტივის რეგულაციებს. როგორც გაირკვა, ზოგიერთ შემთხვევაში, სადავო საკითხი იმის თაობაზე, თუ კონკრეტული პირი რამდენად ითვლება მომხმარებლად (ან მოვაჭრედ). ვფიქრობ, შერეული ხელშეკრულებებისა და სხვა სადავო შემთხვევაში საკითხი უნდა გადაწყდეს მომხმარებლის უფლებების დაცვის სამართალში იმ ფუნდამენტური პრინციპის გათვალისწინებით, რომ მომხმარებელი არის ურთიერთობის „სუსტი მხარე“, ხოლო მოვაჭრე – „ძლიერი“.

ბიბლიოგრაფია:

ქართულენოვანი ლიტერატურა:

1. გელაშვილი ი., ჭანტურია ლ. (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2019.
2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა, ჭეჭელაშვილი ზ. მთარგმნელი, ჩაჩანიძე ე./დარჯანია თ. (რედ.), თბილისი, 2019.
3. ლაკერბაია თ., ზაალიშვილი ვ., ზოიძე თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, თბილისი, 2018.
4. ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016.
5. „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/113041>> [ბოლო წვდომა: 10.04.2023].
6. ქარდავა ე., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2007.
7. ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010.
8. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.

საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 007, 30/04/1996, (გაუქმებულია საქართველოს კანონით, – პროექტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25/05/2012).
2. საქართველოს კანონი მომხმარებლის უფლებების შესახებ, სსმ ვებგვერდი, 06/04/20222.
3. საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 25/05/2012.
4. საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.
5. 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, ვებგვერდი, 11/09/2014.

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

1. Guidance on the interpretation and application of Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council on consumer rights, Official Journal of the European Union, C 525/1, 2021, <[https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229\(04\)&from](https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52021XC1229(04)&from)> [Last seen: 28.04.2023].
2. Haupt S., An Economic Analysis of Consumer Protection in Contract Law, German Law Journal, Vol. 4, №11, 2003, <<https://doi.org/10.1017/S2071832200012013>> [Last seen: 09.04.2023].
3. Kozminski A. K., Consumers in Transition from the Centrally Planned Economy to the Market Economy, Journal of Consumer Policy, Vol. 14, №4, 1991.
4. Lakerbaia T., The Right of Withdrawal in European Consumer Protection Law, Journal of Law, №1, Tbilisi, 2014.
5. Loos M., Full Harmonisation as a Regulatory Concept and its Consequences for the National Legal Orders: The Example of the Consumer Rights Directive, Centre for the Study of European Contract Law, №3, 2010, <<https://ssrn.com/abstract=1639436>> [Last seen: 15.04.2023].
6. Mendes I., The Development of Portuguese Consumer Law with Special Regard to Conflict Resolution, Journal of Consumer Policy, Vol. 17, №1, 1994.
7. Micklitz B., The Necessity of a New Concept for the Further Development of the Consumer Law in the EU, German Law Journal, Vol. 4, №10, 2003.
8. Waddington L., Reading a Duty to Provide Accessible Pre Contractual Information for Consumers with Disabilities into EU Consumer Protection Law, Journal of Consumer Policy, Vol. 45, №2, 2022.

საკანონმდებლო აქტები და სასამართლო პრაქტიკა:

1. Case C-105/17, Komisia za zashtita na potrebitelite v Evelina Kameno-ova, [2018] ECR.
2. Case C-105/17, Komisia za zashtita na potrebitelite v Evelina Kameno-ova, [2018] ECR.
3. Case C-329/19, Condominio di Milano, via Meda v Eurothermo SpA, [2020] ECR.
4. Case C-361/89, Patrice Di Pinto, [1991], ECR.
5. Directive 2011/83/EU of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, OJ L 304/64.

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ
იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე: www.lawandworld.ge
ელ. ფოსტა: info@lawandworld.ge
მისამართი: გურამიშვილის გამზირი 76. თბილისი. 0141
ტელეფონი: (+995 32) 2 000 171 (120); (+995 596) 171 171

The online version of the journal is available on the website:
www.lawandworld.ge
E-mail: info@lawandworld.ge
Address: 76 Guramishvili ave. Tbilisi. 0141
Phone: (+995 32) 2 000 171 (120); (+995 596) 171 171